



# ილორი



№ 26 (95) 4 აგვისტო 2009    სახალხო მემკრამბა    "სამეგრელო" ტრანსო    50 ტომრო




## აღექსანდრე ჭაჭია 51 წლისაა

ზაჭონო აღექსანდრე!  
გაზეთ "ილორის" რედაქცია, სახალხო მოძრაობა "სამეგრელო", ქვეყნის პროგრესული საზოგადოება გულითადად გილორავთ დაზადებდან 51-ე წელს და გისურვებთ ჭანმრთელოზას, რათა ჩვეული ენერგიითა და მონდომებით იღვანოთ საქართველოს მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური ჩიხიდან გამოყვანის გზების ძიებისათვის! ჩვენს ზედკრულ სამშობლოს, როგორც არასოდეს, დღეს ისე სჭირდება დიდი ძალი-  
ისხმევა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მისი ეთნიკურად და სულიერად არაქართველ ხელისუფალთა გაყარებელი ქმედებებით გამოწვეული საერთაშორისო დაძაბულობის განსამუხტად, ქვეყანაში ჭეშმარიტად აღმავლობითი პროცესების დასაწყებად, დემოკრატიული ღირებულებების დასამკვიდრებლად, რაც ძალუძთ მხოლოდ პაჭრიოტულად განწყობილ საქართველოს გულმემატკივარ პოლიტიკოსებს. თქვენ კი ყოველთვის ამგვარ ეროვნულ მოღვაწედ მოგიაზრებთ საქართველოს ის უდიდესი პროგრესულად მოაზროვნე ნაწილი, რომელსაქართველოს სატკივარი საკუთარ სატკივარად აქვს მიჩნეული.

სანგრძლივ სიეროზლეს, ჭანმრთელოზას და სამშობლოს ზედნიერებას გისურვებთ, ზაჭონო აღექსანდრე!

## ლავრენტი 4 ბერია — ქართული გენია



გაზეთი "ილორი" აბრეშებს წარიღების ტილოს გეზლას, ამჟამად უკვე მსოფლიოს უდიდეს მუხაშრთელოზა

## ლევ იაშინი

12

## ფარაჯანიკუბისათვის

## შობილნი

ტერმინი "ფარაჯანიკუბა" ობიექტურად ასახავს მეხუთე კოლონის მიერ კარგა ხნის წინ შემოგდებულ და აწ უკვე ავთვისებიან მეტასტაზებად ქცეულ საშიშ დაავადებას.



7

## კოკასა შიგან რაცა დგას 2 იგივე იდგა კოტეშიც

## ნახევატი აკადემიკოს ანზორ შონიას ნიგნიდან "ებრისის სამეფო და ქართული სახელმწიფოებრიობა"




5

## მჯერა, რომ უწმინდესის შემწეობით ურთიერთობა აღდგება 8



ამის  
დაპარგვის.  
ან  
დავიწყების  
უფლება  
არც რუსსა  
აქმს და არც  
ქართველს! 6

ნაწყვებები ვ-ველიკოს წიგნიდან "გაგაბასია"



9

საქართველოს ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს მიმართვა, რომელიც უნდა გადაეცათ გაზეთ "კვირის პალიტრისათვის" 11

კოკასა შიგან რაცა დგას იგივე იდგა კოტეშიც

ქართულ პოლიტიკაში მემკვიდრეობით
კადრებს არცთუ იშვიათად ვაწყვებით:
მამა-შვილი გამსახურდიები, მამა-შვილი
შარტავები, მამა-შვილი ალასანიები, ძმები
ბერძენიშვილები, კუბლაშვილები და ხაინ-
დრავები. გენეტიკური ფაქტორი შთამო-
მავლობას გადასცემს როგორც ფიზიკურ
მსგავსებას, ასევე, სულიერ და გონებრივ
უნარებს, ტემპერამენტს, ნებელობით სიმტ-
კიცეს, ნიჭსა და მეხსიერების უნარს. მეც-
ნიერება გვიმტკიცებს, რომ სულიერი და
გონებრივი უნარები მალაღი ხარისხიდან
მემკვიდრეობის გარკვეულ ეტაპზე დაბალ
უნარებად ყალიბდება ან - პირიქით.
ასეთი გამოთქმაც არსებობს: „გენისთა
შვილებზე ბუნება ისვენებს“.

რა ხდება მაშინ, როდესაც მამა არაა გე-
ნიოსი, შვილი კი მის კეკავს მიჰყვება...
ამჯერად სახელისუფლებო პოლიტიკის
სახეზე - მამა-შვილ კოტე და გოკა
გაბაშვილების ფსიქოპორტრეტზე
გვესაუბრება ფილოსოფიისა და
ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
ზურაბ გაგნიძე.

– ბატონო ზურაბ, რას გვეტყვით მამა-
შვილი გაბაშვილების ფსიქიკის ძირითად
შტრიხებზე?

– უპირველესად, ერთმანეთს ფიზიკურად ჰგ-
ვანან. ანთროპოლოგები კი ამტკიცებენ, რომ
ბიოლოგიური მსგავსება გონებრივი უნარე-
ბის იდენტურობას განაპირობებს. მამაცა და
შვილიც, აღსაყენი მიწიერი, ცხოვრე-
ბისეული შინაარსით, უადრესად პრაგმატ-
ული პიროვნებები არიან, იმდენად
პრაქტიკულნი, რომ მხოლოდ დროისა და
ადგილის შესაფერისი იდეებით ცხოვრობენ.
ამ უნარმა მათ ზნეობრივი და მორალური
ბარიერები მოუხსნა. მათში პარმონიულადაა
შერწყმული შეხედულები გონიერება და მო-
ქნილი ნებელობა, არ გააჩნიათ იდეალისტე-
ბის მახასიათებელი გულისხახილი და
შინაგანი მოთხოვნები. რაკილა მიწის
შვილები არიან, შეუძლიათ, ცოდა ჩაიდინონ,
საძრახის გრძობაში მიხედვით იმოქმედონ
და თავიც მშვიდად იგრძნონ, რადგან არ
აწუხებთ სულიერი შფოთვა.

სულიერი უნარები მათში დიდი მიწიერი
შინაარსის გამო დათრგუნულია. შეუძლიათ,
მშვიდად ამტკიცონ სიცრუე, სიყალბე მი-
წივი სიამოვნებათა ამბოხისთვის. მათში
ხარობს მიწიერი ძალა და სიმყარე. ისწრაფ-
ვიან, სიამოვნებისთვის რაც შეიძლება
ბევრი მიიღონ. ამის საშუალება კი ფულია,
რის გამოც ხარბნი და პატივმოყვარენი
არიან, დროთა განმავლობაში კი ამბიციების
მონებად ყალიბდებიან.

თუ მათ ბიოგრაფიულ მონაცემებს გა-
დავხედავთ, ბევრ მსგავსებას ვიპოვით. მა-
ცა და შვილიც პარლამენტში პარტიული
სიით მოხვდნენ. რადგან მათ ინდივიდუ-
ალობა აკლიათ, გუნდის გარეშე ვერც ერთი
მათგანი „სოლო პარტია“ ვერ ასრულებს.
ორივე საქმიან კარიერას საპარლამენტო
კომიტეტის თავმჯდომარეობით იწყებს.
ორივე ფილოლოგია: მამა – აღმოსავლური
ენების სპეციალისტი, შვილი – გერმანული
ენისა და ლიტერატურის.

მათი კარიერის საფეხურებიც მსგავსია.
პოლიტიკა მათთვის აღზევებისა და მატე-
რიალური კეთილდღეობის გზაა. მამა-
შვილი ხელისუფალთა მოთხოვნებს
საგვებით აკმაყოფილებენ, ამიტომ იქნენ
ხელისუფლების პოლიტიკურ სახეებად.

გოკა გაბაშვილმა სიამოვნებით მიიღო
როლი, ტელეკრანინიდან დაიკვას მმართველი
გუნდი. ამ როლის შესრულება თვით
მმართველ პარტიაში 99%-ს ფსიქოლოგიურად
უჭირს. გოკა გაბაშვილის პიროვნებაში
კი სინდისს, რომელსაც სუბიექტში
სულიერი უნარების კონტროლი და მხ-
ილება აკისრია, სინდისს. სინდისის ხმის
გამოღვიძება არც მის ბნელში ჩაძირულ
გონებრივ უნარებს შეუძლია.

– გაბაშვილები თავგამოდებით იცავენ გუნ-
დურ ინტერესებსა და სახელისუფლებო
გადაწყვეტილებებს. ხშირად ჩანან
ტელეკრანინებზე, რით დაიმსახურეს პატივი?

– ასეთ „პატივს“ დღეს ხელისუფალი მხ-
ოლოდ არაკომპეტენტურობის გათვალ-
ისწინებით იძლევა. გოკას არ შეუძლია
ფაქტის ან პროცესის შეფასების კრიტერი-
უმების ჩამოყალიბება, აზრის დალაგება,
პოზიციის არგუმენტირება, მაგრამ შეუძლია
ოპოზიციური აზრის ხელაღებით უგულუბე-
ლოფა, განქიქება, თავისი პოზიციის მტ-
კიცე დაცვა. იგი ყალბი პათოსით იმერებს
ოფიციალურ შეფასებებს, ცდილობს, არ-
ავისთან არაფერი დათმოს, მოწინააღმდეგე
პრინციპულობით თრგუნავს. მამა, შვილის-
გან განსხვავებით, მოპაექრისგან პატივის-
ცემასა და დაფასებას ითხოვს. ეს მისი
შეინდობილი მხაკერობაა. პუბლიკას, ალბათ,
ახსოვს გახმაურებული დებატები კოტე
გაბაშვილსა და პოეტ რეზო ამაშუკელს
შორის. კოტე გაბაშვილის, როგორც
მრავალი პიარტექნოლოგიის მნახველის,
სახეზე გამოცდილებას გაპირობებული დიმი-
წივი გაუყინავს, გოკას კი ჯერ არ მიუღია
ფსიქოლოგიური განწყობების შედეგად
შექმნილი გრიმასები. მამა აცნობიერებს
გარემოს, მეტად გრძობს ანტისოციალურ-
ბრივ განწყობას, შვილი კი პირწავარდნილი
ნუნობაა. ორივეს აერთიანებს სწრაფვა –
ჰქონდეს პირადი კომფორტი, უსაფრთხოება

და უზრუნველი ყოფა. შინაგანი ბუნებით
საქმონები უფრო არიან, ვიდრე პოლი-
ტიკოსები. ანგარიშიანი ბუნებით პოლი-
ტიკურ ასპარეზს ისე უყურებენ, როგორც
კეთილდღეობისთვის საჭირო სარეზერვო
ძალასა და სიმდიდრის მოხვეჭის ექსპლუ-
ატაციის წყაროს.

– რას გულისხმობთ?

– რუს კორესპონდენტ ოლგა ბაღენოვას
მიერ აღებულ ინტერვიუში ბატონი კოტე ამ-
ბობს: „ნატო არის არა მხოლოდ საქართვე-
ლოს უსაფრთხოების გარანტი, არამედ
დემოკრატიული განვითარებისაც. მადლობა
დემეტრის, საქართველოში ეს ყველაფერი
ის ამას პირველი კაცის საამებლად
აკეთებს, რათა პრივილეგია შეინარჩუნოს.
ისეთი ძალით უკმევეს გუნდრუკს ზემდგომთ,
რომ საპირწონედ მიეღი საქართველო მო-
ჰყავს. მიზანი კი ერთია – სურს, ბოძებული
მდგომარეობა და მოხეჭილი სიმდიდრე
შეინარჩუნოს და ნდობით განაწილოს
პროამერიკული ხელისუფლება. კომერციულ
გათვლებში მას არც შვილი ჩამორჩება.
გოკა გაბაშვილი ხმამაღლა აცხადებს:
„რუსეთს პროვოკატორებსა და აგენტებს
აქვს გაგლეხა და არა პოლიტიკურ ძალე-
ბზე“. მიზნობრივად შეურაცხყოფს
„რუსეთის აგენტებად“ მონათლულ „მაღ-
ალთა“ საამებლად. ამგვარი ღმაქუცი მათ
პოლიტიკურ მრწამსს არ ემსახურება.
გაბაშვილებს ეშინიათ, დისკომფორტი არ
შექმნათ. მათი სააზროვნო არეალი არ
შორდება პირად „მეგ“, მათში „ვეგ“
პიპერტროფულია. მათი პოლიტიკაც ამას
ემსახურება. ყველაზე მალად პიუფესტალზე
მამა-შვილის ფსიქიკაში საკუთარი ინტერე-
სებია. ამას მოწმობს რამდენიმე წლის
წინათ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ
ინტერვიუში კოტე გაბაშვილის „აღიარება“,
როგორ ჩამოაძირ მიცვალებულ მამას
ოქროს კიბეები და თავისთვის სამკაული
გაიკეთა. ფსიქოლოგიურად ეს „ურჩხულის“
სიძლიერეა, ეგოცენტრისმით დაავადებული
კაცის საქციელი, რომელშიც ჩაღებულა
პარპაგონის ოქროსმოყვარეობა. ამ ფაქტმა
შეიძლება სასტიკად დაავტოვოთ, მაგრამ
ნუ
დავგავიწყდება, რომ მისი ფსიქიკის მთავარი,
ცენტრალური ხაზი მიწიერება და პრაგმა-
ტიზმია, ამიტომ უმალ სწვდება მაქინა-
ციებსა და ხრიკებს, გაწონასწორებულია,
მაგრამ მოგების შანის განქინისთანავე კარ-
გავს კონტროლის უნარს.

მამას შვილიც კვალში უდგას, ანუ კოკასა
შიგან რაცა დგას იგივე იდგა კოტეშიც. უმ-
ცროსი გაბაშვილსაც უფროსივით პატივი-
მოყვარეს სიმდიდრისა და გავლენის
მოპოვებისთვის „ჰკუა-გონება ეკეტება“. მას
ფულთან პათოლოგიური დამოკიდებულება

აქვს. ეს მარტო მისი ბუნებიდან არ მომდ-
ინარეობს; არსებული გარემოების
გავლენით მან ცხოვრების მიზანი პირად
კეთილდღეობასა და მალად სოციალურ მდ-
გომარეობაში დაინახა. ამისთვის მზადაა,
ითანამშრომლოს იმ ძალებთან, ვინც მიზნის
მიღწევაში დაეხმარება, ჰქონდეს ზიარება
სისასტიკესთან და უსამართლობასთან, იყოს
ქვეყნისა და ხალხის დამღუპველი გველის
განხორციელების თანამონაწილე. დაუოკე-
ბელი ამბიციების გამო ფსიქოლოგიური
მზაობა აქვს, უშუალოდ მონაწილეობდეს
ქვეყნის ისტორიულ ღირებულებათა
გადაფასებაში – ინგლისურენოვანი ფილმე-
ბის ეკრანზე გაშვებას კვერი დაუკრას და
მიესაღმოს, ზნეობრივი ანტიპოდების შე-
მოტანას ხელი შეუწყო, ეროვნულ რეზო-
ნანსს ზურგი შეაქციოს და
კოსმოპოლიტიზმის ბაცილით მოწამლული
გაიძვერა მოყვასის მარიონეტი გახდეს... მათ
მიერ ბოძებულ სავარძელში მონური მად-
ლიერებით იჯდეს და თავის კეთილისმე-
ოფელებს უნიჭოდ და უსამართლოდ
იცავდეს.

– რატომ ხდება ასე, რომ ხალხის რჩეულნი
ხშირად იმ ნდობას ვერ ამართლებენ,
რისთვისაც მათ ამომჩვენებლმა საკუთარი
ხმა მისცა?

– ამ შემთხვევაში, გაბაშვილების
სულიერება საგნება საბედისწერო სისუხ-
ტეებით, როგორიცაა: ფარისეულობა, ამბი-
ციურობა, პრაგმატული ხედვა, ძალა-
უფლებისა და პრივილეგიების მოპოვების
სენი, ამპარტანობა – იყენებ გამოჩენილნი
და ზემდგომნი, ფულთან პათოლოგიური
დამოკიდებულება, სნობიზმი, ზნეობრივი
სიღატაკე, ხნითა და ხასიათით, „ამაზონის
მსახურნი“, მიძინებულნი სინდისი, აზარტული
სწრაფით გონების დაბნელება, ავანტიურ-
იზმი. ყველაზე გამოკვეთილად კი მათ
ფსიქიკაში რაციო ყველა სხვა სიკეთეს თრ-
გუნავს. მათ მხოლოდ გამოჩენილი მდგო-
მარეობა და მყარი კაპიტალი სურთ.
მამა-შვილი გაბაშვილი ხალხის რჩეული
კი არა, ჩვენი დროის ნეოფსიქოლოგიისა
და ყოფის ადევკატური ფსიქიკური
წყობის ნომენკლატურაა, რომელთა
უნარები წარმატებულად ღაიერებს
სიტუაციასთან მისადაგებობა და
მანვერირებით ქვეყნის რთული რეგრე-
სისა და დამნაშავე ხელისუფალთა
პირობებში. მათი საქმიანობა პოლიტიკურ
სარბიელზე ხალხის მიერ მტკიცეწულად
აღიქმება.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

ვიშა და სომხები ანუ ვინი პრეზიდენტია სააკაშვილი?

შარშან აგვისტოში, თურმე, ჯავახეთისკენ
მიმავალი რუსული ტანკები, რომელთა
მიზანსაც ნავთობსადენის დაპყრობა წარ-
მოადგენდა, შეაჩერა სპეცრაზმმა, რომელ-
იც 100%-ით სომხებისგან შედგებოდა. მათ
რუსებს განუცხადეს, ამის მერე „მხოლოდ
ჩვენს გვამებზე გადაივლით და ისე გაა-
გრძელებთ გზას“. მცირე ხნის მოლა-
პარაკების შემდეგ რუსები უკან გაბრუნდ-
ნენ. იცოდით? არა? არც ჩვენ ვიცოდით!

ხდაპარს არ გიყვებოდა, ეს სიტყვები
სააკაშვილმა თქვა ერევნის უნივერ-
სიტეტში შეხვედრაზე.

არც სომხებს სცოდნიათ და მიშამაც
ზარ-ზეიმით აუწყა!

ჩვენ გვეგონა, რომ რუსების არმია,
რომელიც მთელი საქართველოს აღებას
გეგმავდა, ევროპის მხარდაჭერამ,
საფრანგეთის პრეზიდენტის თავგამოდე-
ბულმა შრომამ, მსოფლიო საზოგადოების
პროტესტმა და თითო-ორთა ღირსეული
ქართველისადმი კრემლში შემორჩენილმა
პატივისცემამ შეაჩერა. თურმე, ვცდებოდ-
ით!

თურმე, ახლა რომ ამ წერილს ვწერ,
თქვენ რომ კითხულობთ, პრეზიდენტი რომ
ისევ მიშა, ოპოზიცია რომ ისევ „გრენიზ-
აა“, „კავკასია“ რომ ისევ აჭუბარდისია,
საქართველოს საფეხურით ნაკრები ისევ

რომ აგებს, საქართველოს საერთოდ რომ
ჰყავს საფეხურით ნაკრები და ნახევარ-
მა საქართველომ ჯექსონს რომ არ
გავასწარით იმ ქვეყნად – ეს ყველაფერი
„100 პროცენტი“ სომხებით დაკომპლექტე-
ბული „სპეცრაზნი“ დამსახურება ყოფილა!

დიდი მადლობა პატრულს, კი არა და,
სომხებს! რა კარგია, ასეთი მეზობლები
გვყავს!

მაგრამ ცოტა რომ გავგვივლის ეს
ეიოფრია, მეზობლების სიყვარულის გახ-
ეთქილი ბუშტი ისევ რომ გავგვეკერება და
რომ დავეწარდებით, ვარიანტი არაა, რომე-
ლიმე ნორმალურად მოაზროვნე ადამიან-
მა (ჩვენ თუ აღარ დავგვრჩა, სომხებს ჯერ
კიდევ ხომ მაინც ჰყავთ ასეთები) არ გა-
იაზროს, რომ რაღაც ისე ვერაა, როგორც
მიშამ მოგვასხენა...

ჯერ ერთი – ვე რომ სიმართლე იყო,
მიშა დაასწრებდა სომხებს მაგის თქმას?
აქამდე ხომ ათასჯერ წამოგვაყვედრებდ-
ნენ – ჩვენ გადავარჩინეთ!

მერე კიდევ – თუ „100 პროცენტი“
სომხებით დაკომპლექტებული ძლევა-
მოსილი სპეცრაზნი საქართველოს
სადარაჯოზე იდგა, თუ ყველაფერი კარგად
იყო და თუ არაფერი გვემუქრებოდა, მაშინ
რატომღა ვაწვადეთ ნახევარი ევროპის
პრეზიდენტები (განსაკუთრებით, ერთ-ერთი,

მგონი, ესტონეთის პრეზიდენტი იყო, ზუს-
ტად არ მახსოვს, მოხუცებული კაცი),
რატომღა ვარბენინეთ რუსთაველზე და
რატომღა ვამდერეთ ხელიხელნაკიდე-
ბულები „თავისუფლება ღმთა ხვედრია“?

მესამეც – თუ ასეთი მაგრები არიან
სომხები, რომ ერთი სპეცრაზმით რუსეთის
ჯარის სატანკო კორპუსი უკან გააბრუნონ,
ხომ არ ჯობია, საერთოდ აღარ გავიწვიოთ
ჯარში ქართველები და პირდაპირ სომხე-
ბი დავიქარათო მეზობლებად?!

„რუსეთს ფეხებზე გიდა სომხეთის ინ-
ტერესები. მათი ძალები სწორედ იმ
სატრანზიტო გზებს, ხიდებსა და რკინიგზებს
ურტყამდა, რომლებიც სომხეთში მიდიოდა,
– განაცხადა სააკაშვილმა, – მე დამირეკა
რობერტ ქორჩიანი და შემატყობინა, რომ
ქრუსებმა ლარსი ჩაკეტეს, ოღონდ მხოლოდ
ქართველებისთვის. ჩვენ სიამოვნებით გა-
ვაცარებენო. მე ვუთხარი, რომ ქართული
პოლიცია ნახევარ საათში ასობით ქართულ
სატერიტორიულ მანქანას გასწვავდა გვერდზე
ასევე მოხდა, მაგრამ სომხეთის მაშინდელ-
მა კოლეგამ ორი დღის შემდეგ დამირეკა
და მითხრა, რუსებმა გზას არ ხსნიანო. ეს
აშკარა პროვოკაცია იყო“.

გამოდის, რომ აგვისტოში რუსეთს
საქართველოსთან კი არა, სომხეთთან
ჰქონდა ომი!

მოკლედ, ამ უთაბოლო სიტუაციას
ამოხსნის ორი შესაძლო გზა აქვს, ორი
ვარიანტი: ან რუსეთს სომხეთის დაბომბ-
ვა უნდოდა და შეეშალა, ან კიდევ, მეორე
და უფრო სავარაუდო – სააკაშვილი რე-
ალურად სომხეთის პრეზიდენტი!

ალბათ, ამიტომაცაა, რომ ასე ოლად
თმობს საქართველოს ტერიტორიებს და
ამიტომაც იკლავს თავს სომხეთიდან ახ-
ალქალაქის გავლით ყარსში რკინიგზის
გასაყვანად და, ერთ-ორ ოპოზიციონერს
თუ დაუფეხვებთ, მზადაა, ჯავახეთიც ქო-
ნარიანს უფეშქაშოს.

ჰოდა, თუ ასეა, მინდა, მიემართო ჩვენს
ისტორიულ მეზობელ სომხებს:

– „რუბიკჯანი! ია ტებე ადინ უმნი ვეშჩ
სეაუშტი ტოლკო ნე აბეჟისია!“ ხო მაინც
თქვენია ეგ სააკაშვილი, რომელსაც „ნა ზა-
პადე“ დემოკრატის „მაიაკს“ ეძახიან?
ჰოდა, ადექით და წაიყვანეთ, რაღა! მაინც-
დამაინც ჩვენ უნდა ვუქნათ ვაგა? წაიყ-
ვანეთ და თქვენსას ანათოთ მაგ „მაიაკმა“!
თანაც, თქვენ ხო ზღვა არ გაქეთ და „მა-
იაკი“ მაინც გექნებათ, რა!

ჩვენც დავისვენებთ და თქვენც განათ-
ლებით დემოკრატის „მაიაჩნი“ შუქით! ასე
არ ჯობია?

ლექსო ლეკიაშვილი

# სამურზაყანოს ბუღბუღი

## (კონსტანტინე ჩიკვატიას დაბადების 100 წლისთავისთვის)

საქართველოში მღეროდნენ და მღერიან ლხინში თუ ჭირში, ნადში თუ გართობაში, მარტო თუ ერთად, ასევე დღინებენ თავისთვის ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანაში ოდითგან.

ჭირში სიმღერა მხოლოდ უძველესი ხალხებისა და ერების უნიკალური კულტურაში დომინირებს. ქართულმა პროფესიულმა გენმა ათასი წლების სიღრმეში გამოიმუშავა იგი, როგორც შეუცვლელი სულიერი ძალა, უმძიმეს განსაცდელში სიკვდილზე სიცოცხლის გარდღევალი გამარჯვების იმედი და რწმენა, როგორც ძველ-მოსილი იარაღი სიამაცისა და დაუმარცხებლობისთვის, ვიდრე ყველაზე სრულყოფილი საბრძოლო საჭურველი, მოწოდება, დროში, ძველმოსილი მთავარსარდლის მიმართ.

ჩვენს ისტორიას უამრავი საარაკო მაგალითი ახსოვს, როცა დამარცხება გამარჯვებად შემოუბრუნებია საჭირო დროს და საჭირო ადგილას წამოწებულ სახალხო სიმღერას, ხალხის სულიდან ამოხეთქულ ძველმოსილ მელოდიას. ამაში არის რაღაც საკარლული, წმინდა და თავისთავადი.

ამბობენ, რომ სამურზაყანოელ მემორებს ცხადად ახსოვთ, როცა ბრძოლის სიმღერა წმინდა გიორგის ხატის დარად ხორცშესხმული გამოჩენილა ალაგში მიმწვევდულ და სასოწარკვეთილი ლაშქრის წინაშე, გასძლიოლი ამ მტრზე თავზარდაცემად და სასწაული მოუხდენია. ასე ყოფილა თურმე, როცა ბედიელთა ლაშქარი ერთიანი საქართველოს უკანასკნელ მუფს გიორგი ბრწყინვალეს ახლდა მის ბოლო და უკანასკნელ გამარჯვებულ ომში, მაშინ როცა იმერთა მეფეს ეთქვა მხარში ხრესელთან, მაშინ როცა ბათუმში მენშევიკებმა და ბოლშევიკებმა ერთად გაწმინდეს ქალაქი თურქი ასკერებისგან. ჩვენში, აფხაზეთში, დღემდე შემორჩა ზარი, არა როგორც უძველესი რიტუალი ჭირსუფლის განსამხნევებლად, არამედ როგორც წინაპართაგან ბოძებული უკვდავი ჰიმნი საყოველთაო ტკივილისა და მწუხარების ერთად დასაძლევად, სიცოცხლის მარადიულობის დასტურად.

სამურზაყანოელებმა თავის ათას ჭირნახას წმიდათაწმიდა ქართულ მიწაზე სრულიად საქართველოს სხვა ხალხთა დარად არა მარტო შემოინახეს უძველესი კოლხთაგან სიმღერისა და გალობის კულტი, არამედ, და ამ თვალსაზრისით აფხაზეთი, აფხაზეთის ქართველთა განსაკუთრებულია. აქ უამრავი წარმართული თუ ქრისტიანული თვითნაბადი ადათ-წესი, ტრადიცია და ჩვეულებაა, რომელთაც დღემდე უფროსი-იღლებიან, როგორც საკუთარი სულისა და ხორცის ნაწილს, როგორც ისეთ რამეს, რომლის გარეშეც არ ხალხს არც კი წარმოუდგენია დარჩება კი იმად და იმნაირად, რაცა განკვებამ გააჩინა დღემდეწაზე. აქ ყოველ სოფელს აქვს თავისი მითი და თავისი პანგი, თავისებური ტემბრი და მელოდის ხიბლი. ყოველ ამ მითს თუ ლეგენდას დღემდე შვაქს თავისი წარმართი მეფე, რომლებიც ერთად ქმნიან ზეციურ პანთეონს ხმათა და სიმღერათა ჭირისა, ლხინისა, ლაშქრულისა, შაირისა თუ სიყვარულის გამოხატვისა. მსგავსი რამ იშვიათია თვით მონი თუ პოლიფონიურ საქართველოშიც კი.

გამიგრძელდა, მაგრამ არა მგონია, რომ ჩემგან ბევრად განსხვავებული წარმოდგენა დარჩნოდა სამურზაყანოს რომელიმე სტუმარს, რომელსაც წილადა ხვდა ბედნიერება ერთხელ მაინც ეხილა გალის სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლი, მისი წვერები, შესულიყო მის ჯადოსნური ხმების სამყაროში. სანამ ცოცხალი ვარ, რა დამეოწმებს ქართულ, მეგრულ, აფხაზურ ენებზე აღდერებულ ხმათა და მელოდიათა სასწაულს, რომელსაც ახსოვდა ვირისმანის ფუნჯის სასწაულივით სრულქმნილი ქართულ ნოხა-ახალღუსა და კაბებში ჩამჯდარი ბრვე კაცებისა და ტანწერწერა ქალების თანავარსკვლავედი. ათას კაცთან დარბაზში თუ მწვანე მოღზე, ზღვისპირას თუ ბუმბერაზ მთათა ფესვებთან იღერებოდა სისხლგამყინავი მელოდია, ზეობდა მიწიერი სიცოცხლე, თითქოს სასტიკ ხმალთა კეთაში იყო ლაშქარი, კენესოდა დაჭრილი, იღვრებოდა მოკლული, ზემოთბდა ძველ-მოსილი გამარჯვებული, და არა მარტო; აქ მეფობდა სიყვარულის ნეტარი, ქორწილის სურნელი, ქალ-ვაჟის შაირი, ჩვილის ტინი, ყანის შრიალი, თრთოდა ბადახი, ჩურჩულებდა

წყარო, გალობდა მერცხალი, შარიშურობდა ქალწული ნაწნავი, კენესოდა ურემი, ხნავდა სახნისი, ქუხდა მაყრონი, იდგა ჯამი სიცოცხლის დიადობისა, ბუნების მარადიული განახლებისა, ჯამი წარუვალი მშვენიერებისა. აქ, როგორც ცხოვრება, იცვლებოდა დრო-ჯამი, სცენა, დეკორაცია, მაგრამ არ იცვლებოდა კოლხური წესი, – ცამდე შემართული ქალი და კაცი უსწველო მაღლით მბრძანებლობდა ყველას და ყოველივეს, აქ დრო არ არსებობდა თითქოს და არც არავის უნდოდა დროის არსებობა.

ასეთები იყვნენ გაღვლები ოჩამჩირეში, გულირიფში, სოხუმში, ტყვარჩელში, გუდაუთაში, გაგრაში, ლიხნში, თბილისში, საქართველოს რეგიონებში, როცა სიხარულისგან აცრემლებული თვალებით და ოვაციებით სცენიდან არ უშვებდნენ სიმღერისა და ცეკვის რაიონულ ანსამბლს.

და ეს სასწაული 1931 წელს შექმნა და შემდგომ დიდ გზაზე გამოიყვანა სანამ დიდმა შემოქმედმა, უბადლო ხმის და ხასიათის მეგობარმა აკაკი ხარებავამ, კოტე ჩიკვატიამ და კოწი გეგუკოვმა.

მწელი იყო იქ ვინმეს გამორჩევა, საუკეთესო იყვნენ საუკეთესოთა შორის და მათი გამოცდვალეობა, თუ ასეთი დასაშვებია საერთოდ, შეიძლება მხოლოდ მათი მაშინდელი თუ სამომავლო ბედისწერით, პირადი ადამიანური ბედნიერებით თუ უსწველო ტრადიციებით.

გალელთა ანსამბლმა თავისი ოქროს ადგილი დაიკავა საქართველოსა და აფხაზეთის ხალხური შემოქმედების უნიკალურ საგანძურში. მერე იყო ომი და თოხს იქნევა და ანსამბლი ყანაში, ქმნიდა "ჩელასა" თუ "მარტებლს", ამხნეებდა მემორებს, ძაძებით შემოსილი ოჯახებს.

1949 წელს სოჭში სტალინი შეხვედრია ანსამბლის რჩეულებს, სულგანაბულს მოუსმენია მისთვის ჩვეული ყურადღებით და როცა მათივე შესრულებით "გაფრინდი შავი მერცხალი" და "ხანანგურა" აუგუნებულა, ფესზე წამომდგარა, თავადაც აჰოლია, მოწონებით თავი გაუქნევია და მადლიერების ნიშნად ხელი ჩამოურთმევია ცალ-ცალკე, მერე ფანჯარასთან მისულა, არწივის მხერტი ზღვა მიმუწვევდვია აფხაზეთის კუთხეში და ფიქრებში ჩაიძრულა. – იხსენებდა თურმე ბატონი კოტე. მოგვიანებით კი, როცა ბელადის გალანდღვაში ხალხი ღამის ერთიმეორეს ეჯიბრებოდა, გაიღიმებდა და თავისსავე მონათხრობს დაამატებდა თვალმოჭურული: "არ ვიცი მე, სახელმწიფო საქმეებში ის კეთილი გენია იყო თუ ბოროტი, მაგრამ ამ საქმეში დღის ანგელოზი იყო ნამდვილად".

მრავალი გამარჯვებების ღაღურავატი ანსამბლის შედგენია "კოლხური სუიტა", რომელიც ქართული კულტურული მემკვიდრეობის საგანძურშია იმთავითვე დამკვიდრებული.

ვისაც ერთხელ მაინც უხილავს ხალხური შემოქმედების საოცრება "კოლხური სუიტა", ახსოვს უთოდ, რომ თავის მეგობრებთან ერთად ამ საოცარი სპექტაკლის რეჟისორი, დამდგმელი და სოლოს შემსრულებელია სამურზაყანოს ბუღბუღი ბატონი კოტე ჩიკვატია, მაყარი-მხედარი კი მისი ვაჟიშვილი ზურაბი.

ისეთი იყო ბატონი კოტე, როგორც ანსამბლი, ზუსტად ისეთი, როგორც სამურზაყანოელთა უმეტესობა-ალალი, მართალი, წესიერი, უსიტყვო, უღალატო, შეუპოვარი, ნიჭიერი, ქვეყანაზე, სოფელზე, ოჯახსა და წუთისოფელზე უზომოდ შეყვარებული, სისხლით და ხორციტ ქართველი და ქართული.

ბატონი კოტე ცოცხლობდა სიმღერით, ლექსით, მეგობრებით, ადამიანური არსებობის იმ განსაკუთრებული ყოფით და წესით, რომელსაც შემოქმედებას, ხელფანებას უწოდებენ წიგნიერად. კოტე სულდგმულობდა იმის არ დაკარგვაზე ზრუნვით, რაც მისმა წინაპრებმა შექმნეს უხსოვარი დროიდან და თაობიდან თაობას გადასცეს გამდიდრებული ხმათა ახალი შრებით, ახალი ხიბლით, და რომელიც ზმირად წინ უსწრებდა კიდეც დროის, რამეთუ დიდი ფოლკლორი კინდება და ჟანგი შეეპარება, თუ იგი თავის მასზრდოებელ ფესვებს მოსწვდა, და იმავდროულად ყოველმა ახალმა თაობამ თავისი წვლილი არ შეიტანა მასში.

კოტე ქმნიდა ახალ სიმღერებს, სანთლით

დაეძებდა სოფლებში მივიწყებულ ნიმუშებს, მეგობრებთან ერთად ხეწვდა რუდუნებით და ქვეყანას უბრუნებდა სამურზაყანოელთა სახელით. კარგად იცოდა ბატონმა კოტემ, რომ მას არ ჰქონდა უფლება თავისი გასაოცარი ნიჭით და გაქანებით ახლებურად არ წარმოეჩინა მეგრულ-აფხაზური ხალხური შემოქმედების ისეთი შედეგები, როგორცაა "ოდოია", "ჯანსულო", "სი სოული ბატა", "გარადა", "ანე ჩონგური ქოფოქაუთუ", "ვაი შური საყვარელი", "აში ჩელა", "რუსთაველი", "მეურმე", "ართი ვარდი", "თიში იღბალი მიღვლუ" და მრავალი სხვა, რაღა თქმა "აბა ულა" და "მრავალგამიერი". "მარტებელი" კი მისი პირმშობა. არაფერს ვამბობ სხვა გენიალურ ქართულ თუ აფხაზურ, საქართველოს სხვა კუთხეების ხალხურ ქმნილებებზე, რომელთაც ანსამბლის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ბატონ კოტეზე ვსაუბრობ და მართალი არ ვიქნები თუ გაცხროთ მაინც არ ვახსენებ ისეთი საყოველთაოდ ცნობილი და დღითიუნი ნიჭით მირინცხებული სამურზაყანოელები, როგორებიც არიან (და არა იყვნენ!) ვალიკო ხნეტია, კოწი გეგუკოვი, ბესო აქუბარდია, აკაკი ხარებავა, კოტეო ჯაგუბურია, გენო ხორაია, ჯუმბერ მარკელია, ნანული შენგელია, სულიკო შენგელია, ლელა აბაშიძე, ბაბო მარდანი, შურა ჭელიძე, ლეონტი შონია, ინდიკო კვარაცხელია, შოლა გვაძაბია და მრავალი სხვა. ალბათ დადგება დრო, როცა სამურზაყანო-ბუღბუღელთა შედეგებსა და მათს მირინცხებულ შემსრულებლებზე წიგნები დაიწერება.

კოტე უბადლო მამულიშვილი იყო, უძველეს ქართულ ფესვებზე ამოზრდილი, საქვეყნო საქმისთვის თავდადებული. მისოკოვში, საკაშვირო ფესტივალზე გასამგზავრებლად ემზადებოდა რაიონული ანსამბლი, როცა კოტეს ოჯახს უბედურება დაატყდა თავს – უფროსი ქალიშვილი ლინა დაიღუპა. კოტე სიყვარული დაბეჭრა მიუღმა აფხაზეთში და ვინდა გაბედავდა და ძაძებით მოსილი კოტე ბატონისთვის მოსკოვში გამგზავრება შეეთავაზებინა, არა და კოტეს გარეშე ეს წარმოუდგენელი იყო. სანამ ორმოცი მაინც არ ჩამთავრდებოდა არც რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობა, არც მისი მეგობრები იყვნენ ხმის ამომღები, – ყველა კოტეს ირგვლივ ტრიალებდა გათენება-დაღამებამდე სასაფლაოზე. ასეა იქაური წესი და წესი წესობდა მასში.

კოტემ მოულოდნელად და ყველას გასაკვირად შვილის საფლავის ჯერ კიდევ ნედლ ბორცვზე წაიღილია თავისთვის, მერე გაოგნებულ მეგობრებს შეხედა და ბრძანა, – ჩემი ტკივილი – თქვენია, თქვენ-ჩემი, სახელი და ღირსება კი ყველასი, ჩემი ტკივილის გამო თავი ხომ არ უნდა მოვაჭრაო სამურზაყანოსა და აფხაზეთს.

ანსამბლი გამარჯვებული დაბრუნდა მოსკოვიდან, კოტე დიდი ჯილდოთი და ხალხური შემოქმედების მსოფლიო გიგანტების ტოლის არ დამდებდა აღიარებული ფოტოსურათებით.

კოტე თავად თხზავდა ლექსებს ბავშვობიდან. ერთხელ ჩელადის ენგურქვის დასახლებსკენ ანსამბლთან ერთად ვიზუზავრეთ ავტობუსით. საბერიოს მიდამოებს დილის თაკარა მზე წავადა, დინახურგის გორაკებზე კი დრუბლები ჩამოწნენ საწვიმრად. კოტემ მოულოდნელად წაიღილია: "საბერიო მისარკელ რე, დინახურგა მუნაფილი, მოჭუფლუ დობებული დო დიანთილი ყუნაფილი." მერე საარაკო ამბავი მოიყვას, იქაურთა წესით თუ როგორ მოიტაცეს საცოლე, შეეშალათ თურმე და სასიდედრო შერჩათ ხელში. ბავშვით იცინოდა თვითონაც, მოგვიანებით ამ თემაზე შედეგები შეიქმნა.

კოტე ცხენოსნობის მესვეური და რაიონის ღირსეული ტრადიციების საუკეთესო გამგრძელებელი იყო. 1960 წელს საცხენოსნო სპორტსკოლა შექმნა და მრავალი წელიწადი მისი დირექტორი იყო. თავად უბარი მხედარი, ბატონ ჭიჭიკო ზუხბაისთან ერთად სამურზაყანოს მუდმივი დესპანი იყო აფხაზეთის ყველა ქალაქსა თუ სოფელში; ისინი და მისი ნორჩი ვოკები გუდაუთაში თუ ოჩამჩირეში, საქართველოს ღამის ყველა კუთხეში აფხაზ მეგობრებთან ერთად სახელოვნად წარმოადგენდნენ სამურზაყანოს, აფხაზეთს, საქართველოს თუ საკავშირო ნაკრებებში. გალელთა ამ

თაობამ ახალგაზრდების ის თაობა აღზარდა, რომელმაც მრავალჯერ ასახელეს საქართველო ყოფილ დიდ ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ.

ბატონ კოტეს მამა, ჯერ კიდევ პატარას, ცხენზე აძრომას უშლიდა თურმე, დედას კი კოტესგან დიდი სწავლულის აღზრდა გადაეწყვიტა. მოგვიანებით ბატონი კოტე გულიანად იცინოდა იმ დროს შექმნილ თავისსავე პოეტურ რომებზე: "მა ვამოკო გურაფა, მოკო ცხენში რულაფა".

შეჯიბრი ხალხური შემოქმედებაში, ტრადიციულ ცეკვა-სიმღერებში, მარულა და სხვა თამაშობანი იყო აფხაზთა და აფხაზეთის ქართველთა ერთობის ჭეშმარიტი ზემი, სადაც გალი და გუდაუთა მარადვამ მეტოქობდნენ ხოლმე ფინალში. იყო "ჩემი და შენი", ბუნებრივია, მაგრამ დამარცხებული და განაწყენებულ არავინ ყოფილა, ხალხი კი ბედნიერი, ლხინი და პურ-მარელი დაუსრულებელი, სიყვარული-ულკვი, უეჭველი.

ბატონი კოტე ცოცხალი ღვეენდა, მისი ოჯახი უყვარდათ და დღესაც უყვართ არა მხოლოდ გაღვლებს და ბიოფიზიოთელებს, არამედ აფხაზეთის ყველა შვილს, სრულიად საქართველოს. აფხაზეთის ტრადიციის შემდეგაც ე.წ. ბოვეიკებიც მოწიწებით იგონებენ მასზე, თავისთვის დღინებენ "ოდოიას" თუ "გარადას", "არტა და შარიქს" თუ "აბა ულას".

გალელთა მეგობარი მომიყვია ამასწინათ, – ენგურიდან ფსოუმდე ვიზუზავრეთ სარეისო ავტობუსით, აფხაზმა მძღოლმა გალის ანსამბლის ძველი ჩანაწერი ჩართო ენგურის პოსტზე და რუსეთის სახელმძღვანელო არ გამოურთავსო რუსული საგუნდოების ჩათვლით, თანაც უსწველოდ ხმადაღდა.

ბატონ კოტეს ჰყავს ღირსეული ქალიშვილი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრი, ცნობილი მეცნიერი, ყველასთვის საყვარელი და სახელოვანი ოჯახის დედა და წინამძღოლი.

ბატონი კოტეს ოჯახი ქართული და აფხაზური ხელოვნებისა და კულტურის ერთგვარი სალონი იყო. შოთა რუსთაველის სახელობის თეატრი, მარჯანიშვილი, სუხიშვილებისა და რამიშვილების ანსამბლი, სამსონ ჭანბას სახელობის აფხაზური თეატრის დასი, ვინ ჩამოთვლის კიდევ რამდენი სახელოვანი შემოქმედებითი კოლექტივი მიუღია და გამასპინძლებულა კოტეს ეზო-კარში, რაღა თქმა უნდა, ბატონი კოტე უცვლელი თამადა იყო და საოცარი მოქიფივი.

ადრე წავიდა კოტე ამ ქვეყნიდან, მაგრამ სიკვდილის წინა წუთებში თბილისში, კარდიოლოგიის ინსტიტუტში კიდევ ერთი გაუგონარი ამბავი ჩაუდენია თურმე: როცა მიმხედარა, რომ ამქვეყნიურის დასასრულის ჯამი დადგა, სიკვდილის წინა წუთებში "აბა ულა" წამოუწვია, თანაც ისე ომახიანად, ისე ტკბილად, რომ მთელი საავადმყოფო, ჯანსაღი თუ სნეული გამოფენილა დერეფანში სასწაულის სანახაოდ.

ამჟამად გალში, აფხაზეთში მცინვარებს ჩვენი ისტორიისთვის არ ახადო უკუდართობა, არ გაგონილი ძალადობა და სისასტიკე. აფხაზეთის სამოთხეში სამარისებურ სინემეს რუსული ტანკების, ჯაგმანჩანებისა და უცხოელთა ყოჩის აკრთობს მთასა და ბარს, შავი ზღვის ჯვრაც დღურჯ, მაგრამ სვედა ჩამდგარ თვალებს, უმტრული ცას, მოღუშულ მხეს, სთანჯოსა და ოჯაკებს ბებერ მუხებსა და რცხილებს. ამასთან, არის სხვა რამეც და ეს სხვაა, – იმედი, სხვაა, – იმედი, სამურზაყანოელი პატარა ბიჭების თუ ასაკოვანი კაცების მწუხრის მოგუდული გალობა, ძველებური თუ ახალი პანგები ჭირსა და ტკივილზე, სიდუხჭირესა და უუამობაზე, სიყვარულისა და სიკეთის მარადიულობაზე. და, რა თქმა უნდა, სამურზაყანოს, დიდი და ძველი საბედნიაროს, დედა საქართველოს სამომავლო ნათევი დღეებზე.

მღერიან და კვლავაც იმღერებენ გალელთა ძველებურად მტრების ჯინაზე ლხინში, ამჟამად უმეტესად ჭირში, მაგრამ არნახულად მხნედ და ომახიანად.

გალში, და ჩვენში საერთოდ, ცოცხალია ბატონი კოტე, იცოცხლებს სამარადვამოდ ძველ, მაგრამ ერთიან სამურზაყანოში, ისევე როგორც გალის რაიონის დიდი და განუქმერებელი ანსამბლი, რადგან უფლის ხატად და მსგავსად ქმნილის მოკვინება შეუძლებელია.

რაფიელ გელანტი.

# ლაპრონტი ბერია — ქართული ბენია



ესე იგი, იქ ბერია ახსოვთ როგორც კარგი მუშაკი. კარგი კადრები ხომ ქუჩაში არ ყოფილა, და, თუ ბერიას ტფილისში იბახებენ და იგი სწავლას უნდა მოსწავდეს, რატომ არ უნდა გამოიყენონ იგი ბაქოში?

როგორც ჩანს, აზერბაიჯანის კომპარტიის ცეკაში ზუსტად ასე ფიქრობდნენ, რაც დასტურდება შემდეგ განვითარებული მოვლენებით... ბერიას სწავლაზე კი ააღვნიხებ ხელი, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ ტფილისში გაეგზავნათ, აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებით 22 წლის ბერია ინიშნება აზერბაიჯანის ცავანგებო კომისიის საიდუმლო-ოპერატიული სამსახურის უფროსის მოადგილედ, შემდეგ ამ განყოფილების უფროსად, მალე კი აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.

ეს უკვე სერიოზული და უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა. მაგრამ, ეს სამსახურებრივი საქმის სწრაფი დასაწყისია, სწორედ რომ საქმის, და არა კარიერის. ბერიას რომ კარიერა არ აინტერესებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მას სტუდენტობა უფრო სურდა, ვიდრე უფროსობა!

ბაქოში ჩამოდის ნინო და მალე ისინი ოჯახს ქმნიან (მათი შვილი სერგო ტფილისში დაიბადა, სადაც ბერია 1922 წელს გადაიყვანეს).

რითი არსებობდა იგი მაშინ? მოდი, ამაზე კვლავ ახალგაზრდა ლავრენტიმ გვიპასუხოს. მას ხომ საკუთარი ცხოვრება სხვებზე კარგად ახსოვს... არა და, ვახდენ არა მისი თავისუფალ სტილში დაწერილი მემუარების, არამედ ოფიციალური დოკუმენტის ციტირებას, რომელიც ჯერ კიდევ ინახება ბერიას პირად საქმეში, რომლის განადგურება ვერ მოახერხეს და რომელსაც ბერია “ავტობიოგრაფიას უწოდებდა.”

“არ გაეჩერებები აზერბაიჯანის საგანგებო კომისიაში მუშაობის დაბაზულ რეჟიმზე, — აცხადებს ბერია, მაგრამ ამ სამუშაოს მოკლე შინაარსით გადმოცემა გამორიცხებულია, ამიტომაც მასზე ბერია ვრცლად საუბრობს. — ამან კი მოკლე დროში მოიტანა შედეგები. გაეჩერდეთ იმაზე, რომ სრულად იქნა განადგურებული მუსულმანური ორგანიზაცია “იტეპატი”, რომელშიც ათიათასობით მუსულმანი იყო გაერთიანებული (თურქული მემარჯვენე პარტია “იტეპატი ნე ტარაკი” — “ერთობა და პროგრესი” დაარსდა 1889 წელს და იარსება 1926 წლამდე). შემდეგ — მემარჯვენე ესურთა ამიერკავკასიის ორგანიზაციის განადგურება, რისთვისაც საკავშირო ჩკ-ს პოლიტსამმართველომ 1923 წლის №45 ბრძანებით გამოიცილა მადლ-ლობა და დამაჯილდოვა სახელობითი იარაღით. ამ მუშაობის შედეგები ასევე აღნიშნა აზერბაიჯანის სახკომსაბჭომ, რამაც მადლობითა და საგანგებო საგაზეთო სტატიით შეაფასა ეს მოვლენა.

აზერბაიჯანის ჩკ-ს რეგებში მუშაობის პარალელურად ვიყავი აზერბაიჯანის უწყებათაშორის კომისიის თავმჯდომარე (1921), შემდეგ კი უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს წევრი (1922) და სამხედრო-რევოლუციური ტრიბუნალის

## სერგეი კრემლიოვი ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

კურატორი. ასევე ვიყავი აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს კომიტეტის წევრი, სადაც ვიყავი ბიუროს წევრი, ვიყავი ასევე ბაქოს საბჭოს წევრი...”

ეს უტყუარი ინფორმაციაა. ეს იმ დოკუმენტებით დასტურდება, რომელიც ბერიას პირად საქმეში ინახება, და რომელიც, ჩვენდა გასაოცრად, 1991 წელს გამოცემულ “ანტიბერიასეულ” კრებულშია შეტანილი.

იქ, გარდა კიროვის მიერ გაცემული დახასიათებისა (იგი მაშინ აზერბაიჯანის ცეკას მდივანი იყო), ინახება აზერბაიჯანის ჩკ-ს მიერ გაცემული დახასიათებაც, მას ასე, პირველი:

“აზერბაიჯანის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭო”

აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს აზერბაიჯანის საგანგებო კომისიის საიდუმლო განყოფილების უფროსის ლავრენტი ბერიას დიდ როლს რევოლუციის მტრების განადგურების საქმეში და აჯილდოვებს მას ანაგრაშიანი ოქროს მედალით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე გ.მუსაბეგოვი.”

მეორე: “ამონაწერი მთავარი პოლიტიკური სამმართველოს 1923 წლის №45 ბრძანებითიდან

ამიერკავკასიის მემარჯვენე ესურთა ორგანიზაციის განადგურების ოპერაციების ენერგიულად და მოქნილად ჩატარებისათვის ამხანაგი ბერია და საიდუმლო ნაწილის უფროსი ამხანაგი იოსებო დაჯილდოვდნენ სათანადო წარწერის მქონე “ბრაუნინგის” სისტემის სახელობითი იარაღით და მათი სახელები შეტანილი იქნას საბატიო წიგნში...

მთავარი პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილე (უნწილხტი).”

და მესამე: “მოწმობა ეძლევა პასუხისმგებელ პარტიულ მუშაკს ან. ლ. ბერიას, რომ მას გააჩნია განსაკუთრებული შესაძლებლობები, რაც ხელს უწყობს სახელმწიფო და პარტიული მუშაობის გაძლიერების საქმეს. სხვადასხვა პოსტებზე მუშაობისას მან ამ თვისებების გამოვლენით მიაღწია დიდ წარმატებებს რევოლუციის მტრების განადგურებისა და სოციალისტური სახელმწიფოს აშენების საქმეში...”

აზერბაიჯანის ცეკას მდივანი აზუნდოვი”.  
ეს საბუთები მოხმობილია 1991 წელს გამოცემულ “ანტიბერიასეულ” კრებულში შემდეგი “მეცნიერული” კომენტარით: “...სამივე საბუთი შექმნილია აღმოსავლური სულისკვეთებით... (განსაკუთრებით პოლონელი თავადის უნწილხტის მიერ — ს.კ.), რაც აისახა კიდევ მათ სიცოცხლეზე. ყველა ხელმწიფერი დაიღუპა ერთიდაიგივე დროს — 1938 წელს, როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად ლავრენტი ბერია მოვიდა...”

ზუსტად ასე წერია, პატივცემულ მკითხველ. შემდეგ კი ისიცაა ნათქვამი, რომ ბერია ჯერ სახალხო კომისრის მოადგილე იყო და თარიღიც დაზუსტებულია — 1938 წლის აგვისტო... მაგრამ უნწილხტი დააპატიმრეს 1937 წლის 11 ივნისს და დახვრიტეს 1938 წლის 29 ივლისს. მაგრამ პაზანფარ მაჰმუდ ოღლი მუსაბეგოვი (მუსაბეგოვი) დააპატიმრეს 1937 წლის ივლისში და დახვრიტეს 1938 წლის თებერვალში.

რუკულე ალი ოღლი აზუნდოვზე ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება, მაგრამ ფაქტია, რომ 1937 წელს დაპატიმრებასა და 1938 წელს დახვრეტაში ბერიას მონაწილეობა არ მიუღია.

აზუნდოვიცა და მუსაბეგოვიც ოცდაათიანი წლებში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს — ისინი ამიერკავკასიაში გამოჩენილი ადამიანები იყვნენ. მაგრამ, იგივე ოცდაათიანი წლებში მათ ბევრად დაბალი თანამდებობები ეკავათ, ვიდრე ბერიას. მათ სამოქალაქო ომის წლებში არავითარი “ცოდვები” არ გააჩნდათ. და დააპატიმრეს ისინი არა ბერიას ინტრიგების წყალობით, არამედ მაშინ მიმდინარე შიდაპარტიული ომის შედეგად.

ამასთან, ბერიას არავითარი დამოკიდებულება არ გააჩნია მათი დაპატიმრების სანქციასთან, რადგან ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი, რომლის პირველ მდივანად მუშაობდა ლავრენტი ბერია, 1936 წლის ხუთ დეკემბერს ჩატარებულ სსრკ საბჭოს საგანგებო ყრილობაზე, სადაც დამტკიცდა “სტალინური კონსტიტუცია”, გაუქმებულ იქნა და იგი დაიშალა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის კომუნისტური პარტიების ორგანიზაციებში.

აზუნდოვი და მუსაბეგოვი აზერბაიჯანში მუშაობდნენ და ბერია კი, როგორც საქართველოს კომპარტიის თავკაცი, უკვე აღარ იყო მათი პარტიული ხელმძღვანელი. და პარტიული ხაზით მათი დაპატიმრების ბრძანება გასცა ზაგიროვიმა. რაც შეეხება უნწილხტს, მასზე ბერიას არც შეიძლება იქნას რაიმე გავლენა. აი, ასე!

მაგრამ ჯერ კიდევ 1922 წელი დგას და ბერიას ბრწინვალე სამსახურებრივი და პარტიული დახასიათება მოწმობენ ერთ რამეზე: ამდენი რამის ასე ხარისხიანად და მოკლე ვადებში შესრულებისათვის მხოლოდ ნიჭი და მონდომება საკმარისი არაა.

აქ საჭიროა ღვთისაგან ბოძებული ნიჭი!

ბერია ხომ ტალანტური პიროვნება გახლდათ! სწორედ ამიტომ ცდილობდნენ მის გადაყვანას საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში.

მართლაც — საქართველოში დაიბადა, მშობლები აქაური ჰყავს, თვითონ კი, სადაც ბაქოში ემსახურება ვიღაც “მის”. დროა სამშობლოს დაუბრუნდეს!

და 1922 წლის ნოემბერში ლავრენტი ბერიას საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას განსაკუთრებული განკარგულებით ნიშნავენ საქართველოს პოლიტსამმართველოს საიდუმლო ნაწილის უფროსად და ჩეკას თავმჯდომარის მოადგილედ.

კონსტანტინე პაუსტოვსკი თავის წიგნში “ცხოვრებისეული მოთხრობები” წერდა: “მე რუსეთის არაერთი ქალაქი ვიცი, ზოგი მათგანი წამსვე გაიპყრობდა თავისი განუმეორებლობით. მაგრამ მე არასოდეს შემხედვარის ისეთი არეულ-დარეული, ჭრელი, მსუბუქი და შესანიშნავი ქალაქი, როგორცაა ტფილისი”.

ეს იმ პერიოდის ტფილისზეა ნათქვამი, როცა იქ ახალგაზრდა ჩეკისტი ბერია ჩავიდა. მაგრამ ბერიას იქ არ ელოდა ის უზრუნველი ცხოვრება, რითაც მაშინ ახალგაზრდა ლიტერატორი პაუსტოვსკი ტკბებოდა.

დავუშვათ, პაუსტოვსკიმ აღწერა შეხვედრები კავკასიის მოუბს შეხიზუნულ ბანდიტებსა და დეზერტირებთან, ბერიას კი ეს ბანდიტები უნდა დაეპატიმრებინა.

პაუსტოვსკი ისხვებდა: “მთელ ბათუმში ქარისაგან ნაცვამი დროშების ფართქუნი ისმოდა, რომელთა ნახევარი

თურქული იყო. ქალაქის მცხოვრებლებმა ჯერ კიდევ ვერ მოასწრეს ახალი, საბჭოთა დროშების შეკერვა”. ლავრენტი ბერიას და მის თანამშრომლებს კი უნდა გაეჩვენათ, ვინ “ვერ მოასწრო” ახალი დროშების გამოფენა, და ვინ იყო იმის მომხრე, რომ ბათუმში თურქული დროშები დარჩენილიყო.

პაუსტოვსკი ბათუმის კომენდანტს მიმზიდველ პიროვნებად წარმოსახავს: “ვიღაც ნიჭიერი, ლამაზი და წარმოსადგეგი პოლკოვნიკი, რომელიც მენშევიკური არმიის მეკვიდრეა...” მაგრამ, რა უნდა ეთქვა მას ბერიას თაობაზე — თავისი ნებით დარჩა პოლკოვნიკი საბჭოთა საქართველოში თუ ვინმეს ნებით?

მაგრამ პაუსტოვსკიმ გვერდი მაინც ვერ აუარა ბერიას როლს უწვრივოდ აფუთფუთებულ კავკასიაში წესრიგის დამყარების საქმეში: “მთის გზის ყოველ მონაკვეთში შეიძლება მოგხვედროდა ტყვია ზურგში... სიმშვიდე კავკასიაში ნელა ისადგურებდა, ისიც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ”.

კავკასიაში წესრიგის დასამყარებლად საბჭოთა ხელისუფლებას გააჩნდა მთავარი ბერეკტი — საქართველოს საგანგებო კომისია. ამიტომ, ჩეკისტი ბერია ისევე დაბაზული მუშაობდა ტფილისში, როგორც ბაქოში. ამას გარდა, ბერია იყო ტფილისის მუშებისა და ჯარისკაცების დემუტაცთა საბჭოს წევრი.

“შედგელობაში ვიღებოდა რა სამუშაოს მთელ სერიოზულობასა და დიდ მოცულობას, — წერდა ბერია, — მთელ ჩემს ცოდნასა და დროს ვახმარდი საქმეს, რამაც სასურველი შედეგი მოიტანა ბანდიტიზმის განადგურებისა და მენშევიკური ორგანიზაციებთან ბრძოლის ფრონტზე მიუხედავად მათი კონსპირაციულობისა”.

ბერიას ლიტერატურული სტილი აქ მთლად დახვეწილი არ არის, მაგრამ იგი ტფილისში წიგნის დასაწერად არ ჩამოსულა. და იგი დამსახურებული სიამაყის გრძნობით აღნიშნავს, რომ “განსაკუთრებული მონდომებისათვის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაჯილდოვებულ იქნა წითელი დროშის ორდენით...”

იქვეა ბერიას თბილისური ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდი, ვიდრე 1938 წელს მას მოსკოვში გადაიყვანეს სამუშაოდ.

თუმცა, ბერიას ცხოვრება შეიძლება სულ სხვაგვარად წარმართულიყო, საქართველოს კომპარტიის ცეკას რომ მისი ავტობიოგრაფიული შინაარსის განცხადება დაეკმაყოფილებინა, რომლის ციტირება მე უკვე მერამდენედ მიწვეს.


პატივცემულ მკითხველ, ეს ხომ სწორედ თხოვნის განცხადება იყო.

და ახლა, როცა ჩვენ მივუახლოვდით 1923 წლის მოვლენებს, სასურველია, რომ კიდევ ერთხელ ჩავიკითხოთ ამ “ავტობიოგრაფიის” დასკვნითი ნაწილი.

აი, რას თხოვდა ბერია ამხანაგებს: “პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში, განსაკუთრებით ჩეკაში მუშაობისას, მე საგრძნობლად ჩამოვჩინე ზოგადი განათლებისა და სპეციალური განათლების მიღების მხრივ. გამაჩნია რა დიდი ინტერესი საკუთარი სპეციალობისადმი, გთხოვთ დამითითო ნება, რომ დანატარებული წესით გავაგრძელო განათლების მიღება. კონკრეტული სპეციალობის დაუფლება საშუალებას მომცემს, რომ მეტი სარგებლობა მოვუტანო სამშობლოს და პარტიას და ვიყო პროდუქტიული იმ დარგში, სადაც პარტია მიმაგონებს.”

1923 წელი, 22 ოქტომბერი, ხელმოწერა.”

ნახევარი ათწლეულის ანგარიშის შემდეგ "ზარისის საფეხი და ქართული სახელმწიფოებრიობა"



ფიქრობ, ჩვენი ქვეყნისათვის "საქართველოს" დარქმევას ერთ-ერთი გარემოებაა მისი უკუდასახურება...

ნახევარი ათწლეულია მიიღეს: დაარსდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა...

მართალია, ჩვენი ქვეყნისათვის "საქართველოს" დარქმევას უსუსტი თარიღი დადგენილი არ არის...

ჩემს ნარკვევებში "ერის დიდი სატყვეობა" გაკვირვებას გამოიწვევს, თუ რატომ არ დაერქვა ქვეყანას იბერია...

წერილით "დავით აღმაშენებლის საქართველოს მისი ისტორიული სახელი 'იბერია' (მართალია გახეივანი) N6-7, 2001 წელი...

რის, არა თუ მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ სამხრეთ საქართველოს სამეფოს მეფეებს და კურაპალატებს...

მხოლოდ ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ (XV საუკუნის ბოლოს) აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოყალიბებულ სამეფოს ეწოდა "ქართლის" სამეფო...

როდესაც ერთიანი საქართველოს წინაშე ეპოქაში დღევანდელ ქართლს იბერია ერქვა, თითქმის გამორიცხულია, ჩვენს ქვეყანას "საქართველო" და მის მკვიდრ მოსახლეობას "ქართველები" დარქმეოდა...

მოღვაწეებისა და მეცნიერების "დამსახურება" - ლეონტი მროველიდან დაწყებული, თანამედროვე მეცნიერებით დამთავრებული...

არადა, სადაც ნამდვილად არ უნდა იყოს, რომ "ქართლის ცხოვრება" ძირითადად იბერიის (ქართლის) სამეფოს ისტორიაა და ნაკლებად ეხება კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს...

ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება "ქართლის ცხოვრების" პირველი ნაწილის მიმართ გამოვხატე წინაშე "დიდი საქართველოს ტრაგედიაში" (თბ.1998) და არ ვაპირებდი მასზე ყურადღების შეჩერებას...

მეოთხეულისათვის ჩემი მოსაზრებები გამაზიარებინა იმ მომენტებზე, რომელიც ეროვნული თვალსაზრისით მიუღებლად შეჩვენება...

სხვათა შორის, ის მიიჩნევს, რომ ქართული შეიძლება იბერიის შემადგენლობაში, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად ვერ ამბობს, თუ როდის შეიცვალა იბერია სახელმწიფო ქართველთა სახელმწიფო...

...განსაკუთრებით შემზარავია მტკიცება, რომ თითქოს ალექსანდრე მაკედონელმა ქართლის დაპყრობისას იქ "აღრუხადა" მცხოვრები ხალხებიდან მხოლოდ ქართველები...

და სიძვისათვის არას დაგიდევდნენ ნათესაობას, ყოველს სულიერს სჯამდნენ, მკვდარსაც შეჭამდნენ და იყვნენ ვითარცა მხეცნი და პირუტყვინი...

...განსაკვირია შემდეგი გარემოება: როგორც ცნობილია, ქართლის მეფემ ვახტანგ VI შექმნა "სწავლულ კაცთა კომისია" მცხეთაში...

"ქართლის ცხოვრებიდან" კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ამოღებით, ფაქტობრივად, უარყოფილია კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლი საქართველოს ისტორიაში...

ალექსანდრე (ალეოშა) ბერაია

ალექსანდრე დიმიტრის ძე ბერაია იმ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც დღემდე შემოგვინახეს ერის ძვირფასი საუნჯე - ქართული ხალხური სიმღერა და მისი სიყვარული...

ალექსანდრე ბერაია ბავშვობიდანვე გამოირჩა ნიჭიერებით, იგი განსაკუთრებით ხალხური ზეპირსიტყვიერებით იყო გატაცებული...

მას არა მარტო პოეტური ნიჭი, არამედ სასიამოვნო ხმა და უაღრესად დახვეწილი მუსიკალური სმენაც დააბრუნდა...

იგი მუშაობას იწყებს სოფელ შუა ხორგის საშუალო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად...


რაიამ ხალხური სიმღერის გუნდები ჩამოაყალიბა პატარა ფოთში, ხორგაში, ქვემო ქვალონში, საჯიჯაოში...

ალექსანდრე ბერაია იყო ასზე მეტი სიმღერის ტექსტისა და მელოდიის ავტორი...

წვერებიც იყვნენ მთელ კოლხეთში ცნობილი სიმღერის ოსტატები: ვლადიმერ ალანია, იროდი ალანია, აროლიკო ალანია...

ალექსანდრე ბერაია ხალხის იუმორით გამორჩეული პიროვნება იყო...

ალექსანდრე ბერაია 1961 წლის 4 აპრილს ტრაგიკულად დაიღუპა 42 წლის ასაკში...



# აის ლაპარობის, ან ღაპიფების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!

(ნაწევრები ვასილ ველიკოს წიგნიდან "კავკასია")

1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოწაველების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემა ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდგვარმა გულბეგიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაეიდრიდან ამოეღო და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომეხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიკოს მილიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოშულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომეხებმა.

შუადღემდე უკვე სოფელ კინჩხაში ვიყავით. ჩემი ცხენიდან ჩამოვხტი მადალი ეკლესიის გვერდით, კეთილმოწყეს სახლთან. იმათ, ვინც თავის დღეში არა ყოფილან კავკასიაში, და განსაკუთრებით მთიან სოფლებში, საჭიროდა ვსთვლით აუხსნათ, სიტყვა “სოფელი”-ს ხსენებაზე არ წარმოიდგინონ, როგორცა ვსთქვით, სწორ ქუჩებს იქით-აქეთ ჩამწყრივებული სახლები. ასეთის რისამე ხსენებაც კი არ შეიძლება. მთის სოფლები შესდგება მთელ ჯგუფ ქედებისგან, რომელთა შუამრავალი დღეებია. და ეს დასერილი ადგილი გატომულია ზოგჯერ 20-30 ვერსზე და დაფარულია გარდი-გარდმო მმართველებით შემთხვევით მიმოფანტულ პატარ-პატარა მოსახლეობით, სადაც სახლები განიერტოტებიან ხეების ქვეშედან გამოიყურებიან. სადგომებად ქოხები აქვთ, ყვარეთ გადახურული, სახურავზე მჭადაქვებია დაწყობილი, რომ მთის ძლიერ ქარს ყავარი არ მოატაცებინონ. ქედების კენწეროებზე მოსწანს ქვითკირის ეკლესიები, რომელთაც გარშემო არტყიათ სადმერთო წაღკოტები.

ასეთი იყო სოფელი კინჩხაც. აქ მოსახლეობდა 500-მდე კომლი და ქედებზედაც 13 ეკლესია იდგა. ასეთის სოფლის ხალხის თავის მოყრა ადვილი საქმე არ გახლდათ და დეკანოზმა უბრძანა ეკლესიიდან გამოეტანათ უშველებელი სპილენძის ბუკი და საეკლესიო კრებულის წევრს მეტეკეს უბრძანა ბუკი დაეყვირებინა. ამ ნიშნით ხალხი უნდა შეკრებილიყო. ჩვენს მეტეკეს მალე ერთმა გასცა ხმა, მერე მეორემ, შემდეგ რამდენიმე მეტეკემ კინჩხას ყველა ეკლესიიდან ერთად გამოსძახეს და ქედები თითქო გაცოცხლდა და კიდით-კიდე აღაპარაკლაო.

სანამ ხალხი მოგროვებოდა, სახლთუხუცესმა განკარგულება გასცა საუხუმე მოემზადებინათ; მე-კი დეკანოზის სახლში ჩემთვის მიჩენილ ოთახში შევედი. შემინებული თარჯიმანი ვერ ისვენებდა, რადაც უბედურების მოლოდინში იყო; მისი შიში სიცილად არ მყოფნიდა. გაიარა ერთმა საათმა, ორმა; ბუკის ყვირილი ისევ გრძელდებოდა და ხალხმა დენა იწყო. მე უკვე ვისაუხმე. სახლთუხუცესებმა ჯერ კიდევ არ მოდიოდნენ და არ მატეობინებდნენ ხალხის სრულად თავის მოყრას; აღარც ყაზახრუსები სჩანდნენ: თარჯიმანი გადაფითრებული, წამდაუწყობი მიდი-მოდიოდა. საიდგანდაც და ბოლოს, შემატეობინა, ქვევით 400 კაცამდე მოიყარა თავიო, და ყველანი “შეიარაღებულნი” არიანო, დაუმატა ჩურჩულით. გავიდა კიდევ ერთი საათი და მოვიდნენ და მითხრეს, ყველაფერი მზათაა, ხალხი შეგროვდაო. გამოვედი ოთახიდან და ქვევით, მინდორზე, ორასიოდ ნაბიჯის მოშორებით დავინახე მთლად შეიარაღებული ხალხი; თოფებს შორის მოსწანდა შუბებიც, რომლებსაც წვერებზე ცვლები ჰქონდა წამოცმული. მოვიხმე თარჯიმანი, ვერსის ფოთოლივით აკანკალებული, და ყაზახრუსები და მათ-

თან ერთად ძირს დავეშვი. ამავე დროს, თითქოს ვინმემ შეულოცაო, მოპირდაპირე ქედიდან მოგროვილ და მინდორზე მრისხანედ მდგარ ხალხის სწორედ ზურგთ უკან გამოჩნდა ჩემი ასეული. წინ მოუძლოდა დროშონი ტუპიცა. როცა თითქმის ჩავედი მინდორზე, ტუპიცამაც მოაქვანა ჩემთან ცხენი და მომახსენა:

– ბატონი პოლკოვნიკო, ჩემდამი რწმუნებულ ასეულში მშვიდობაა!

თუ არ პოლკოვნიკს, სხვა სახელს არ მეძახდა, თუმცა ერთი მოკრძალებული ტიტულარული მრჩეველი ვიყავი. მისმა და მისის ასეულის გამოჩენამ, ეტყობოდა, დამსწრენი შეაშინა. ჩიქოვანებს მოდიმარე სახეებზე მწუხარებს გამოეხატაო, ხოლო ჩემს თარჯიმანს თვალები გაუბრწყინდა.

მივესალმე ყაზახრუსებს და თავაზიან დროშონსა ვსთხოვევი ებრძანებინა სასწრაფოთ ორად გაყოფილიყვენ და ისე დამდგარიყვენ, რომ ერთი ნახევარი შეიარაღებულ ხალხს ზურგს უკან მოქცეოდა. ეს თვალის დახამხამებაში ასრულებულ იქმნა და მაშინ მეც კინჩხელებთან მივედი.

ყველას ქედები ეხურათ. თარჯიმანის პირით ვუბრძანე ქედები მოეხადნათ. ყველამ არ მოიხდა; ხუთს თუ ექვს კაცს, წინ რომ იდგნენ, ისევ ეხურათ. ყაზახრუსები მიემხედნენ და მოახდევინეს. მერე ვუბრძანე ყველაისთვის იარაღი ჩამოერთმიათ. ხალხი ამოძრავდა; მაგრამ სანამ გონს მოვიდოდა, ყაზახრუსებმა ყველას იარაღი აჰყარეს; ორმა თუ სამმა გადალიანება მოინდომა, მაგრამ ისინი განზე გაათრეს და გათოკეს.

გლეხებს პირველად ესა ვკითხვი:

– მე, უფროსმა რომ დაგიძახეთ, შეიარაღებულები რატომ მოხვედით?

მიპასუხეს:

– ასე გეკონდა ნაბრძანები.

– ვისგან?

მიგვითითეს რამდენსამე გლეხზე. მათ შორის ყაზახრუსების მიერ გათოკილუბზეც.

ახლა იმათ ვკითხე:

– რათ უბრძანეთ ასე?

გლეხებმა თვით სახლთუხუცესზე მიგვითითეს.

ამ ვაუბატონებს რომ შევხედე, მათ გაფითრებულ სახეებზე მათის განზრახვის ცხადი დადასტურება წავიკითხე. მარწმუნებდნენ – გლეხები სტყუიანო, და მხოლოდ უფროსის სახლთუხუცესი იდგა ფერწასული და სდუმდა. გრძელი ჭადარაშერტული თმა მის მშვენიერ სახეს მეტის-მეტად უხდებოდა.

ახსენა-განმარტების ლაპარაკი შევაწყვეტინე და პირდაპირ შეშის ამბავიდან დავიწვე. გლეხები გორდში შეშის შემოტანაზე წამდნენ რათ ამბობენ-მეთქი? გამოირკვა ნადრვილი სიცრუე და მიკიბე-მოკიბეა. დამისახელეს გლეხები, ვინც თავის მოვალეობას არ ასრულებდა; ასეთი 5-6 კაცი აღმოჩნდა, მაშასადამე მთელი სოფლის მოსახლეობის უშეძირესი ნაწილი, იმათაც შეშა მოჭრილი ჰქონდათ, მხოლოდ ვერ ჩაეტანათ საქონლის უყოლობის გამო, ეს საჩინელი მარშან ჰირს გაეწყვიტნა ამ სოფელში; ვისაც კი საქონელი ჰყოლია, რამდენიც შესძლებიათ, ჩაუზიდნიათ შეშა, თუ ყველა ვერ ჩაეზიდეთ აქამდე, გვიბრძანეთ და თუნდ დღესვე ჩაეზიდავთო. დედოფლის ურჩობა გუნებაშიც არავის გაუტრებია, მით უფრო აჯანყება, მე – კი სახლთუხუცესებმა სწორედ აჯანყების ამბავი მითხრეს.

იმ გლეხებს, ვისაც შეშის ჩაზიდვა ემართა, ვუბრძანე ახლავე წასულიყვენ ტყეში და შეშა გორდში წაეღოთ, ხოლო რამდენსამე ჩიქოვანს დაევაღე მათ გაჰყოლოდნენ და ეხურნათ ჩემი ბრძანება მალე ასრულებულიყო.

ამ უმნიშვნელო საქმეს რომ მოვრჩი, შეუდევნი მთავარ საკითხს, სახელდობრ იმას, თუ როგორ ვაპბედეს კინჩხელებმა ჩემთან შეიარაღებულებმა მოსვლა და ზოგიერთმა მათგანმა ქუდი მაშინ არ მოიხდა, როცა უბრძანეს?

ყოველთ უწინარეს გლეხებისათვის ვაკითხინე: ამ ერთ თვეს წინად ეკლესიებში მღვდლებმა და ხელოსნებმა ხომ გამოგიცხადეს, რომ ხელმწიფემ ბრძანა სამეგრელოდეს რუსის მართვა-გამგეობა უნდა შემოსულიყო-მეთქი.

# ს მ ა უ ს ს ო ე თ ი ღ ა ნ

(უცხოელ მეცნიერთა ურთიერთობანი მარტვილის მუზეუმთან)

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში საქართველოს ფარგლებს გარეთ პირველად გავიდა 1962 წ. შემდგომ ამისა თანდათან გაფართოვდა კონტაქტები უცხოეთის ინტიტუტებთან.

პირველი კავშირი 1962 წლის შემდეგ დოკუმენტებში ჩანს 1964 წელს.

1962 წელს სსრკ საკავშირო ბიბლიოთეკის აქტიური ჩარევით მეორე სესიის მასალები გაეგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატების კონგრესის ბიბლიოთეკას.

პირველი უცხოელი, რომელიც დაუკავშირდა ბატონ გივი ელიავას, გახლავთ რენე შმერლინგი. იგი იტყობინება, რომ მეცნიერი იყო სვანეთში. ახლა სურს გაემგზავროს რაჭაში და უკან დაბრუნებული კვლავ ესტუმროს მარტვილს.

შმერლინგი მესტიაში შეხვედრია ნიკო ბერძენიშვილს და ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტთა ჯგუფს. წერილში ადრესატი იტყობინება, რომ გ. ჩუბინაშვილი სექტემბრამდე დაისვენებს კახეთში. მას მოუთმენლად სურს გივი ელიავასთან შეხვედრა. ეს პირველი წერილია. მეორე წერილში რენე შმერლინგი წერს, რომ ვერ შეძლო მარტვილში შემოვლა, არადა ნატურად გადაეცა ბატონი გივის მუზეუმის დათვალიერება.

მეორე ავტორი, რომელსაც გავეცნობით ამერიკელი გახლავთ. დანიელ ლევი, მას შეუტყვიდა, რომ გივი ელიავა მუშაობს მეგრულ-ქართული ლექსიკონის გამოცემაზე და ღელავს წიგნის გარეშე არ დარჩეს და სთხოვს წიგნის ავტორს, აცნობოს, როგორ შეუძლია საფასურის წინასწარ გადახდა, რომ გივის ლექსიკონის გამოცემის გარეშე არ დარჩეს.

**ჰანს ფაინრიხი** იენის უნივერსიტეტის პროფესორია. მისი წერილი მრავალმხრივ საინტერესოა. პირველ რიგში იგი მადლობას უხდის ბატონ გივის და მის თანამშრომლებს დახმარებისათვის, რომელიც სტუმარს გაუწიეს მისი მუზეუმში მუშაობის დროს. ფაინრიხს მიანია, რომ აქ შეგროვილი მასალა ძალიან საყურადღებოა ერთი მხრივ, ტოპონიმების, ხოლო მეორე მხრივ, მეგრული ენის ლექსიკონის თვალსაზრისით. წერილში უცხოელი სწავლულნი აფასებს მუზეუმის თანამშრომელთა შრომას და ასკვნის: მნიშვნელოვან პატივს მიატოვებთ საქმეს ეწვეიან მუზეუმის მეცნიერებით. ბოლოს დასძენს: „მუზეუმის მთელ კოლექციას დაწვებულნი საქმის კეთილ დამთავრებას ვუსურვებო“.

ჩვენს ხელთ არის ქართველთა ბისათვის კარგად ცნობილი მეცნიერის **ჯორჯ პიუიტის** წერილი, მკითხველს გაახსენდება ალბათ ეს კაცი. ან გასახსენებელი რა სჭირდა, დაავიწყებდათ ვითომ? მეორეა ფიქრობთ, რომ საქმე ერთ წერილსა და ერთ საკითხს ეხება? კარგად დავეყვირდეთ მის ნააზრევს – აფხაზების სიძესა და თბილისის უნივერსიტეტის გაზრდილს.

გოჭკით ხელთა გვაქვს ექვსი წერილი. აქედან ორი ინგლისიდან არის გამოგზავნილი 1985-1991 წ.წ.-ში. პირველ წერილში ბატონი ჯორჯი მადლობას უხდის წიგნის გაგზავნისათვის, მეორეში წუხის საფოსტო გზავნილებათა დაკარგვის გამო.

პიუიტს მიხნად დაუხსნავს

გრამატიკული პარალელების საფუძველზე დაამტკიცოს, რომ ქართული, მეგრული და, რა თქმა უნდა, აფხაზური მონათესავე ენები არ გახლავთ. უფრო მეტიც, ქართველები, მეგრელები, სვანები, აფხაზები და ლაზები სხვადასხვანი არიან და მათ შორის არავითარი ნათესაობა არ არსებობს. ამ „მეცნიერული ნააზრევის“ ავტორი ელიავას სთხოვს თავის დასაბუთებულ აზრს.

ბატონი გივი დუმს. პოდა, ეს დუმილია მისი მკაცრი პასუხი. არქივში დაცულია ამერიკაში მცხოვრები და შემდგომში, სამშობლოში დაბრუნებული კაცის ნიკო თოფურიას და სპელეოლოგ ჯუშუბერ ჯიშკარიანის წერილები. ყურადღება მივაქციოთ ამერიკულ ჟურნალს „არქეოლოგია“, რომელშიც გამოქვეყნებულია გივი ელიავას სურათი შეილიშვილთან – დათოსთან ერთად.

მისი სახელწოდებაა „აშშ-ის არქეოლოგია“. წერილის ავტორია ჟურნალის რედაქტორის ასისტენტი კრისტინა რომეი. ის ამბობს, რომ თითქმის 50 წელია მუზეუმის დირექტორია ბატონი გივი. სტუმარი ჟურნალისტი მეეტლეს ბერძნულ იმპორტად თვლის. ამავე აზრისაა პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე.

ვანში ყოფნის შემდეგ გურამი საუბრობდა ძალიან საინტერესო ნივთის (მეეტლის) შესახებ, რომელიც ინახებოდა ერთ პროვინციულ მუზეუმში და რომელიც აუცილებლად უნდა მენახა.

წარმოდგენაც არ მქონდა ზუსტად, იყო ეს „მეეტლე“? მალე გაეუდგა გზას. უცებ შემოგვეცხმა ნაცნობი ყურთასმუნის წამლები საჯარო პოლიციელის სირენა. ბატონ თვალები გადაატრიადა და ზოხინით გადავიდა მანქანიდან.

ერთი ახლავანი, ბრგე პოლიციელი იარაღზე ხელდადებული, წამოვიდა, თავი შემოყო მანქანაში და კარგად დაათვალიერა ჩვენი ბარგი და აპარატურა – „თქვენი მოსახვევის მაშუქი გამორთულია“ – ნელა გამოსცრა მან.

გურამმა გადამითარგმნა, მე კი სიცილი წამსკდა. ჩვენ ხომ ბოლო მოსახვევი სამი მილის უკან გამოვიარეთ.

ბატონ სცადა უკვე წარმატებით ნაცადი მეთოდი გამოეყენებინა და უთხრა პოლიციელს „აქ ამერიკელი ჟურნალისტი“. პოლიციელმა შემომხედა. მე გაუღიმე და ჩემი ბლოკნოტი ამოვიღე. მას სახე გაუწითლდა, მიუბრუნდა ბატონ და ეუბნება: „უკან როცა მობრუნდები, გაგაჩერებ და დაგაჯარიმებ 100 დოლარით“.

ამ სიტყვებით პოლიციელმა გაისწორა საბჭოთა ეპოქის ქუდი ნამგალი და უროთი გაწყობილი, ქუსლებზე შეტრიალდა და წავიდა.

პოლიციელის წყალობით მუზეუმში მივედი იმ დროს, როდესაც იკეტებოდა.

82 წლის გივი ელიავამ, რომელიც მუზეუმის დირექტორი იყო, უხალისოდ მოინდომდა ჩვენი შეშვება.

„ძალიან გთხოვთ“ – შეხვეწა გურამი – „ამ ქალბატონმა გრძელი გზა გამოიარა ამერიკი-

დან, რომ ენასა თქვენი მეეტლე“. ელიავამ შუბლი შეიკრა – „მოდით 45 წუთის შემდეგ“, – გვიპასუხა მან.

როდესაც დავბრუნდით დირექტორს ხელში ეჭირა პატარა მუყაოს ყუთი, რომელსაც ხელით ელოლიავებოდა.

გაღიმებულმა მუყაოს ყუთს თავი მოხადა და შიგ დაეინახე პატარა ბრინჯაოს მამაკაცის ქანდაკება, რომელსაც ხელები გაშვებული ჰქონდა, თითქოს ეტლის სადავეები ეჭირა. დაახლოებით ერთ-ნახევარი დიუმიის სიმაღლის იყო.

ეს ფიგურა აღმოაჩინეს 1975 წელს, იქვე ახლომდებარე სოფელში, კოლხური ნეკროპოლის გათხრების დროს.

ნეკროპოლი თარიღდება მეგრე საუკუნის მეორე ნახევრის და მეშვიდეს პირველი ნახევრის პერიოდით. ის შეიცავს სტანდარტულ კოლექტურ სამარხებს, ტიპურ ზომორფიკულ კერამიკებს, სამკაულებს, იარაღებს და ბრინჯაოს ცხოველთა ფიგურებს.

– „ეს მეეტლე ნამდვილად არანგეგმულია“ – თქვა გურამმა – „მსგავსი არაფერი არ აღმოუჩინიათ კოლხეთში და ახლომდებარე ადგილებში“, მაგრამ ეს ძალიან ჰგავს იმ ბერძნულ მეეტლეს (მე-8 ს.), რომელიც აღმოჩენილი იქნა საბერძნეთში.

პროფ. ლორთქიფანიძე დარწმუნებულია, რომ ეს შეიძლება იყოს ბერძნული იმპორტი, შესაძლოა ყველაზე ადრეული მთელ შავიზღვისპირეთში.

ეს ჩემთვის დიდი სიურპრიზი იყო.

მეცნიერებს შორის გავრცელებული საერთო შეხედულების მიხედვით, რომელიც დაფუძნებულია არქეოლოგიურ ფაქტებზე, ბერძენების პირველი კონტაქტი სხვა ხალხებთან, რომლებიც შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, დამყარდა თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ, მეშვიდე საუკუნის ბოლოს.

მე კითხე ლორთქიფანიძეს იმ შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ეხება ბერძენების ყოფნას შავიზღვისპირეთში უფრო ადრეულ პერიოდში ვიდრე მეგრე საუკუნემდე.

მან მიპასუხა – „მირზე საუკუნეში ატლიური კონტაქტები იყო კოლხებთან, საპრობლემის კონკურსი სამოსხე ადგილებში-ლია ბრინჯაოს ზარბები და ფიგურები, რომელიც მირზე საუკუნით თარიღდება, ისინი ბარბელულად კოლხურია. და აბაც ზუსტად იგივე, მსგავსი ნივთები აღმოვაჩინეთ, ბერძნული თიხის შორბა, ღიზინი და მასასიბათი-ბელი ბერძნული ხელოვნების – ეს ყველაფერი ბერძნულად კოლხეთში მირზე საუკუნეში. და რწმუნებული ვარ, რომ არსებობს კავშირი ამ მრავალთავიან ცხოველის ფიგურებს შორის, რომლებიც აღმოაჩინეს ვანში და ოლიგოპოში. თხალი ბადავავალით ლიტერატურულ მტკიცებულებებს, უკვე მირზე და მირზევე საუკუნეში, ბერძნული მონიხინიბაპე კოლხეთს და ზაზისს. ამ დროისათვის ლეონიდა არბონავაზის შესახებ კალიან კოპულარულია, ბერძნული აბით ლინტა-

რსეპული იხმნენ“. მი იხმვ შმვპითხე – „ნამდვილად იმობზაშრბანენ ბერძნული შავიზღვისპირეთში ბრინჯაოს ხელოვნობის, რომელიც აბათილდა და რა ბრწინვალე შედეგი მიიღეს აქტიურმა თანამშრომლებმა.“

ლორთქიფანიძემ გაიღიმა და მიპასუხა – „თმმვა ჯერ არ არსებობს ამ მოზაზურბის არქეოლოგიური მტკიცებულებები, მაგრამ მი მჯობა მითი იახუნის და არბონავაზის შესახებ ნათლად აისახება ადრეულ ბერძნულ ბამოკვლევებში – ტროა არ იყო ვანტაზიის ნაყოფი ბერძნულსათვის“.

მუზეუმის ე. წ. ოქროს ფონდში დაცულია უცხოელ ავტორთა პირადი წერილები და მათივე შთაბეჭდილებანი. ამ მასალებიდან ურთიერთობა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმსა და უცხოელ ავტორთა შორის, რომელსაც აქვე გავეცნობთ.

დიდის კმაყოფილებით მე მეორედ ჩამოვედი და გავეცანი სამეგრელოს კულტურის დირექტორსა და მისი მხარეზე. მე ვუსურვებ ყველას ბევრ სიხარულს და მომავალ განვითარებას.

**დოქტორი – პროფესორი ფორესტი, პოლონეთი 20.04.65 წ.**

წრფელი სიხარულით და დიდის სიამოვნებით მე ჩამოვედი საქართველოში და გავეცანი აქურ კულტურას და ხალხს. მე დარწმუნებული ვარ, რომ ხელახლა ჩამოვალ თქვენს მშვენიერ მხარეში და შექნება შესაძლებლობა უფრო ახლოს გავეცნო თქვენს კულტურას. მე მოხარული ვიქნები უფრო მეგობრული ურთიერთობა იქნეს პოლონელ და ქართველ ხალხს შორის.

**დოქტორი, პროფესორი ბაგორსკი, პოლონეთი 20.04.65 წ.**

დიდი მადლობა თქვენი სტუმართმოყვარეობისათვის და დახმარებისათვის. თქვენი შესანიშნავი კოლექცია არქეოლოგიური მასალებისა ფასდაუდებელი იქნება ჩემი სამუშაოსათვის.

**კარინა ბ. გუდმანი, ისტორიის დეპარტამენტი, მელბურნის უნივერსიტეტი ვიქტორია – ავსტრალია, 1988 წ. მარტონ ქუპნენი**

მე ბედნიერი ვარ, რომ შევძელი მენახა ასეთი ბევრი ლამაზი ნივთები ამ მუზეუმში.

მადლობას ვუხდის პროფესორ გივი ელიავას.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვეწვიე ამ მუზეუმს. ეს ჩემთვის რაღაც ახალი, რადგანაც ძალიან ცოტა ვიცი მსოფლიოს ამ ნაწილის შესახებ.

მე ახლა ცოტა რაღაც მაინც ვიცი სამეგრელოს ისტორიის შესახებ.

ვფიქრობ, რომ ხალხს, რომელსაც ასეთი ისტორია აქვს, საუკეთესო მომავალი ექნება.

ღმერთმა დალოცოს თქვენი ხალხი და თქვენი ქვეყანა.

**ილია პოდორი, უნგრელი მეცნიერი**

როდენ მნიშვნელოვან საქმეს ეწვიან მუზეუმის მეცნიერები ბატონი გივი ელიავას ხელმძღვანელობით. პირდაპირ გაცემული ვარ, რამდენი იშრომეს და რა ბრწინვალე შედეგი მიიღეს აქტიურმა თანამშრომლებმა.

**პროფ. ჰანც ფაინრიხი, იენა, გერმანია**

ლონდონის უნივერსიტეტის სახელით მივესალმები მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კოლექციებს, თავისი შესანიშნავი მუშაობისა და ქართული კულტურის და მიღწევების შესწავლის საქმეში.

**პროფ. დევიდ ლენგი, ლონდონი**

მე ძალიან კმაყოფილი ვარ, თქვენი ყოველმხრივ საინტერესო მუზეუმით და არანგეგმული სტუმართმოყვარეობით.

**პროფ. ლოთოე ლოლოტი, ჰამბურგი, გერმანია**

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მქონდა შესაძლებლობა, მენახა ასეთი მდიდარი მუზეუმი ჩემს მშობლიურ მხარეში.

მარტვილი არის ერთ-ერთი ლამაზი პროვინცია საქართველოში.

მე ვუსურვებ ამ მუზეუმის დამფუძნებელს პატივცემულ პროფესორ გივი ელიავას ჯანმრთელობას, ბედნიერებას მის კოლეგებთან ერთად.

**გულწრფელად ნიკო თოფურია ნიუ-იორკი, ქართული სათვისტომოს მდივანი ნიუ-იორკში**

მუზეუმი ძალიან მომეწონა და ისევე მინდა ნახვა. გისურვებ წარმატებებს.

**მარტვილის მეგობარი საფრანგეთიდან როჟე ლუდვიგი**

დიდის ინტერესით დავათვალიერე მარტვილის მუზეუმი. აქ დაცული ექსპონატები უაღრესად საინტერესოა. მადლობას გიხდით თქვენი განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის.

**ვოლფგანგ ფოიერშტაინი (ეთნოლოგი, საერთაშორისო ორგანიზაცია „კაპტარის“ საერთაშორისო გაერთიანება სამხრეთ კავკასიური ენებისა და კულტურის. ქართულ და მეგრულ ენების მცოდნე ფლობს ბრწინვალედ ლაზურ ენას.)**

ჩემთვის დიდი პატივია ამ საინტერესო მუზეუმის დათვალიერება, ძალიან დიდი მადლობა იმისათვის, რომ ჩვენ მე და სამტრედიის მესამე საშუალო სკოლის მოსწავლეებს, მოგვავლიდეთ ასეთი შესანიშნავი ისტორიები და ამბები. გისურვებ წარმატებებს.

**შერონ დანი, მშვიდობის კორპუსის მოხალისე სიეტლიდან, ვაშინგტონის შტატი, აშშ**

გავიგე, რომ ადგენთ მეგრულ-ქართულ ლექსიკონს, ძალიან მაინტერესებს ამ ლექსიკონის ერთი ეგზემპლარის შექმნა.

**დანიელ ლევი, აშშ გვერდი შეადგინა პეტრე კირთაძემ**

გიგზავნით საქართველოს ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს მიმართვას, რომელიც უნდა გადაგვეცა გაზეთ "კვირის პალიტრის" რედაქციისათვის

მეგობრებო! გაზეთ "კვირის პალიტრის" 25-31 მაისის ნომერში წავიკითხეთ მერაბ კოსტავას დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი წერილი, რომელშიაც იუწყებოდნენ, რომ - "ეროვნულ სტადიონზე, 26 მაისს, ე.წ. "ოპოზიციურ მიტინგზე" შეკრებილ ხალხს, მერაბ კოსტავა უხილავად წარუძღვებოდა წინ".

ჩვენ, ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს წევრები, მერაბის თანამებრძოლები, რომლებმაც საკუთარი მხრებით ავაბრძანეთ მერაბის ცხედარი მთაწმინდის პანთეონში, ვაცხადებთ, რომ - მერაბ კოსტავა არასოდეს გაუძღვებოდა ქართველებს ერთ ნაწილს მეორე ნაწილის წინააღმდეგ, მერაბი არ დაუშვებდა ქართველთა დაპირისპირებას!..

მით უმეტეს - "ენა, მამულსა და სარწმუნეობას" შეწირული მერაბ კოსტავა არ გაუძღვებოდა იმ ე.წ. "ოპოზიციას", რომლის რიგებშიც ისეთი ადამიანები დგანან, რომის წილი რომ მიუძღვოდა საქართველოს ეროვნული ხელისუფლების დამხობაში 1991-92 წლების შეიარაღებული გადატრიალების დროს და მერაბის სულიერი ძმის - ზვიად გამსახურდიას სისხლში აქვთ ხელები გასერილი. რომელიც სულ ახლახან ქართველმა ხალხმა საქართველოს დიდ მამულიშვილთა ათეულში დაასახელა (რომელსაც ხელი, ვერც მიხილ სააკაშვილის მეხობე ნუგზარ წიკლაურის მიერ ზვიადის ავტორიტეტის შელახვის მცდელობამ შეუშალა!), რითაც გააბათილა 18 წლის წინანდელი, მაშინდელი "ოპოზიციის" მიერ ფართოდ გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, თითქოს - "საერთო სახალხო აჯანყებამ დაამხო საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას ხელისუფლება".

დღეს ის, ე.წ. "ოპოზიციონერები" კვლავაც იგივე პათოსით და შემართებით არიან საპროტესტო არენაზე გამოსული, როგორც 18 წლის წინ - ოლონდ, რადიკალურად განსხვავებული აზრისა და ყოველი ქართულის ძირგამომთხრელ მთავრობას და პრეზიდენტს უტყვენ, რომელთანაც ერთად, ცოტა ხნის წინ, ქვეყანას ძარცვავდნენ, ერის ზნეობას, ტრადიციებს და ქვეყნის მომავალს - ახალგაზრდობას უცხო იდეოლოგიით რყვინდნენ, აქტიურად ნერგავდნენ დასავლურ სუროგატულ კულტურას!..

მართლაც დიდი უბედურებაა, როცა ეს ადამიანები, კვლავაც ბედავენ "დამოძღვრონ" ქართველი ხალხი, მისი საუკეთესო ნაწილი და იმედი - ახალგაზრდობა. ისინი ყოველთვის "თავიანთ" დროს ელოდებიან, როგორც კი შექმნებათ შესაბამისი ნიადაგი, მსუყვე ლუკმის დასაუფლებლად მაშინვე გამოდიან სამალავებიდან.

...ჯ. კაშიამ და რ. კლიმიაშვილმა პირველებმა გადალახეს სინდისის ზღვარი და ზვიად გამსახურდიას "ნაუშესკუ" უწოდეს, ასეულობით გულუბრყვილო ადამიანს უბიძგეს მოუნანიებელი ცოდვისკენ და პოლიტიკურ ბურუსში გახვეულ ქართველი ერი (სულმნათი ზვიადისავე სიტყვებით რომ ვთქვათ) "ბარბას გზას გაუყენეს..."

... ვაი ჩვენს ბედს, დღესაც ისინი "მოძღვრებენ" ხალხს!

მაშინაც "ოპოზიციონერები" იყვნენ ძმები ხაინძრაგები და დღესაც "ოპოზიციის" არიან. გოგა ხაინძრაგა მშვენიერად გრძნობდა თავს ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში... იმდენად მშვენიერად, რომ შევარდნაძემ მას "სახელმწიფო მინისტრის" ხალათი უბოძა და მის

მიერვე დახალუბად გამზადებული, ცეცხლ-წაქიდეული აფხაზეთი ჩააბარა... როდესაც თბილისის გადაბეჭდვამ და ეროვნული მთავრობის დამაქცევარმა, სიგუაოსელიან-კიტოვანის "ტრიუმფირატმა" სამეგრელოს "მხედრონის" კაციჭამიები შეუსია, გოგა ხაინძრაგას მაშინ სამეგრელო და მისი მოსახლეობა სრულიად არ გახსენებია, თუმცა მის თვალწინ ხდებოდა ერთ ალუწერელი სისასტიკე, ძარცვა-გლეჯა და მკვლელობები... არც მის ძმას, "მგზნებარე რესპუბლიკელ" ივლიანეს უგრძნობა დისკომფორტი 1992 წელს არჩეულ შევარდნაძის პარლამენტში, სადაც ფეხბურთის ბილეტების გადაყიდვებიდან დაწყებული, საკუთარი ქვეყნის დამაქცევრებით, ყაჩაღებით და კაცისმკვლელებით დამთავრებული, ყველა ჯურის უჯიშო გახლდათ თავმოყრილი.

კვლავ გამოჩნდა გია ყარაყარაშვილი, რომელმაც - ერთ-ერთმა პირველმა გატყდა პრეზიდენტის წინაშე დადებული გვარდიის ერთგულების ფიცები და გაშმაგებით ებრძოდა პირველ და დღემდე უკანასკნელ, ეროვნულ ხელისუფლებას... მაშინ, ახალგაზრდა, ქვეყნის დამაქცევარი ყარაყარაშვილი, პარლამენტის შენობის დანგრევას და მიწასთან გასწორებას ხმამაღლა ქადაგებდა, იმ მოტივით - "აქ ქართველი იუნკრების უმანკო სისხლია დაღვრილი, შენობა დანგრეული ეკლესიის ადგილზე დგას და ამიტომაც უნდა დაინგრესო...", მაგრამ როგორც კი მას სატანად ქცეულმა შევარდნაძემ თავზე ხელი გადაუსვა, მაშინვე "გაუმინისტრდა" მას, ახალი იდეებიც დაიფიქრა და ახალი ცოდვების ჩადენის გზას გაუდგა... დღეს ისიც "ოპოზიციის" გვერდით (სამწუხაროა, რომ ახალგაზრდა კაცი ფეხზე ვერ დგას, მაგრამ უფაღმა უკეთ იცის, ვის რა უნდა მიაგოს!) ინვალიდის ეტლში ზის!..

ირაკლი ბათიაშვილი - ქართული ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური მებრძოლი, ედუარდ შევარდნაძის ერთგული მეგობარი (არაერთგზის უხსენებია ედუარდ შევარდნაძეს იმ უახლოეს მეგობრებს შორის, რომლებიც ხშირად ჩადიოდნენ მასთან მოსკოვში საკონსულტაციოდ, სწორედ მაშინ, როცა ირაკლი ბათიაშვილი და მძანი მისნი კანონიერ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ცილს წამებდნენ - შევარდნაძესთან ალიანსში!), რომელმაც დაუფასა კიდეც ეს ერთგულება და ახალდაქცეულ ქვეყანაში, აფხაზეთის გაგანია ომის დროს, არავის ანდო "ქვეყნის უშიშროება" რა თქმა უნდა გარდა ირაკლი ბათიაშვილისა!..

- დღეს, ისიც "ოპოზიციის"აა!..

ძმები ბერძენიშვილები - მუდმივი "ოპოზიციონერები!", მას შემდეგ, რაც ორივე მძათეანი, ახალფეხადგმული, თავისუფალი საქართველოს ნაცვლად სატანას დაუდგნენ გვერდით, ვერცერთ ხელისუფალთან ვერანაირი გზით ვერ მოიპოვეს თანამდებობის მისაღებად აუცილებელი მაღალი ნდობა!.. ვის არ ახსოვს ედუარდ შევარდნაძის მძარცველი რეჟიმის დროს აყვებულნი სატელევიზიო გადაცემა "მჯერა", რომელიც ძირითადად ედუარდ შევარდნაძის და მისი დანაშაულებრივი გარემოცვის ქება-დიდებას ეძღვნებოდა, "დევან უფროსს" რომ მიჰყავდა... ყოველივე ამის შემდეგ, მას ყოფნის "პოლიტიკური" სინდისი, თავისი "დისიდენტური" წარსულით იტრაბახოს!..

ირაკლი მეღაშვილი - ზვიად გამსახურდიას და ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი, შევარდნაძის მთავრობაში კარგა ხანს

მსუყვე და თბილად მოკალათდა და "ოქროს საბადოებს ღობისტობდა", მანამ, სანამ - ედუარდ შევარდნაძე წყალს შეიყენებდა!.. იგრძნო თუ არა მელაშვილმა, შევარდნაძის მთავრობაში ავღარიანობის დადგომა, მაშინვე "ოპოზიციის" გადაბარგდა, მაგრამ იქ ნამდვილად არ გაუმართლა - მასავეთ და მასზე უფრო მეტად აყარყაშებული მტაცებელნი დახვდნენ "გაშლილ სუფრასთან" და ამიტომაც "მარჯვობს" დღევანდელ "ოპოზიციის"ა!

ასპარეზზე გამოვიდა, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიერ მონათლული "წითელი ინტელიგენცია" - ჯანსუღ ჩარკვიანი, რეზო ამაშუკელი, გოგი ქავთარაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი და მძანი მათნი... ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომელიც მაშინაც, აგრესიულად მოითხოვდა - ახალფეხადგმული ქართულ-ეროვნული სახელმწიფოს და მისი "ლიქტატორი" პრეზიდენტის დამხობას... კარგა ხანს დუმდა შევარდნაძის ნასუფრალს გადაგებულნი... არც "მიშა მაგარას" უპირებდა დამხობას, მაგრამ, როგორც კი იყნოსა - ტახტი შეერყაო სააკაშვილს, სვავის ინსტიტუტი აუშუშავდა... ამ ხალხს, საკუთარი ამბიციების და კეთილდღეობის გარდა, დღესაც ქართული არაფერი აინტერესებს; ...კიტოვანიც რომ ჩამოყვანათ მოსკოვიდან და ანტიქრისტე სიგუაც მოეძიათ, სრული "თაიფული" შეიკრებოდა!

ოპონენტები შემოგვედავებიან - "დღევანდელ "ოპოზიციის" ხომ არიან ადამიანები, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა 1991-92 წლების სახელმწიფო გადატრიალებაში, არც შევარდნაძე-საკაშვილის მიერ ინსპირირებულ ომებში გასვრილანო?!" მათ გვინდა გარკვევით შევასვენოთ, რომ ხშირად - დანაშაულზე თვალის დახუჭვა და დუმილი უარესია!..

ესეც რომ არა, ხომ არ გვეიწველება ძველი რომაული თქმა - "მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ!"

გაზეთ "კვირის პალიტრის" რედაქციას ვეკითხებით - ამნაირ ადამიანებს როგორ გაუძღვებოდა წინ მერაბ კოსტავა?!

ბატონებო, ტყუილად გჯერათ, რომ - ნასროსხალ უსუფაშვილებს, ხიდაშელებს, ბესელიებს, ზურაბაშვილებს, შევარდნაძის ფულით გამდიდრებულ გამყრდილე-ტერმინის ტანდემს, საქართველოს პატრიარქის არდამჯერ, "ოპოზიციის" და მის იდეოლოგ "უცნობს" - წინ გაუძღვება მერაბ კოსტავას სული!

ე.წ. "ოპოზიციის" 26 მაისის საზეიმო დღეს არც კი გახსენებია მერაბ კოსტავა, "ოპოზიციონერთაგან" კოკო გამსახურდიას გარდა არავინ ასულა მთაწმინდაზე მათი სულელების პატივმისაგებად!

გაზეთი "კვირის პალიტრა" თვალში "ნაცარბაყის" ქართველ ახალგაზრდობას, რომელმაც ზედმიწევნით ზუსტად უნდა იცოდეს ვინ რას აკეთებდა წარსულში, რომ მიხედეს, თუ რა უნდა დღეს "ერის მამებად და დედებად" წარმოდგენილ "ოპოზიციის თავჯდარა ლიდერებს!" და საით ექაჩებიან ისინი საქართველოს.

"კვირის პალიტრა" აგულიანებს ცრუ პატრიოტებს და სიცრუის მორევში ითრევის, ისედაც ყალბი იდეოლოგიის ტყვეობის ქვეშ მოქცეულ მომავალ თაობას.

ციტატა-შეხსენება "1992 წელს, როდესაც საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდა და ჯაბა იოსელიანის ინიციატივით "ტახტზე" შევარდნაძე მოიწვიეს, საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა მას გულუბრყვილოდ დაუკავშირა უკეთესი ცხოვრების იმედი. წინა ორი წელიწადი საქართველო ფაქტობრივად იზოლაციაში იმყოფებოდა. უცებ მხსნელად - "მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსი", "ახალი აზროვნების" ერთ-ერთი დამამკვიდრებელი, ბუშის, ბეიკერის, გენშერის მეგობარი მოეგვინა... როგორ არ უნდა დაიმედდე? მაგრამ მან ძალიან მალე შეძლო იმელების გადაწურვა... ალექსანდრე ჭაჭია, 1996 წლის დეკემბერი"

დღევანდელი "ოპოზიციის" გვერდით არ დგანან და არც არასოდეს დადგებიან ჭეშმარიტი ეროვნული მოძრაობა და მისი წარმომადგენლები!

26 მაისის შემდგომმა დღეებმა თვალნათლივ დაამტკიცა, რომ - მერაბ კოსტავას აჩრდილი "ოპოზიციასთან" არ ყოფილა, რადგანაც ის დაიშალა, მერაბი კი ბურჯი იყო ერთიანობისა, ის გამაერთიანებელი იყო ყველა ეროვნული ძალისა!

"ყოველგვარი პარტიული ინტერესების წინ დაგაყენოთ ერთიანობის იდეა" - ამბობდა მერაბ კოსტავა.

როგორც ცნობილია, ისტორიას ჰქმნიან პიროვნებები. ხალხი მონაწილეა მხოლოდ ისტორიისა. თუ ვერ გამოგვიყვანოთ, მიგვანიშნეთ ის პიროვნება, დღევანდელ პოზიცია-ოპოზიციაში, რომელიც ისტორიას შექმნის, რომელიც გაბედულად მიმართავს ერს - გამომეყენო და მე გაგიყვანო სამშვიდობოს!

მიგვანიშნეთ ის პიროვნება პოზიცია-ოპოზიციაში - რომლის ცხოვრება და ცხოვრების წესი სამაგალითო იქნება მომავალი თაობებისათვის!..

დავლოთ იგი ეროვნული, ქრისტიანული ზნეობის და რამდენიმე ათასწლოვანი ქართული სახელმწიფოებრიობის სასწორზე, შევადართო უცხო "მესიათა" მიერ შემოთავაზებულს და მხოლოდ ამის მეურე დაეუშვათ მათ კისერზე ცხოვრების უდმობელი ვილიოტინა!..

ვგადას, რომ ვერ გავუფრთხილდით ზვიადს და მერაბს!..

დღეს კი, "კვირის პალიტრის" რედაქციასათვის, ვისაც მოუნდება და სადაც მოუნდება იქ მოქნვეს ალესილი ხმალივით მათ წმინდა სახელებს, რადგანაც ჰგონიათ არავინ დარჩა ქვეყნად ამის გამო პასუხის მოთხოვნა!..

არაფერი შეგეშალოთ, ჩვენ ჩვენ ისევე იქ ვდგავართ სადაც ვიდექით - ქართული ეროვნული მოძრაობის ვეტერანები! საკვირველია, ვის სამართალმემკვიდრეობას იყოფენ დღევანდელი საქართველოს პოზიცია და ოპოზიცია?

ნურავინ დაივიწყებს, რომ ქვეყნის ერთადერთი კანონიერი სამართალმემკვიდრე ხალხის მიერ არჩეული უხუნაესი საბჭოა, რომელსაც ეს მანდატი ავტომატურად და ზარბაზნების ძალით წაგლიჯეს 1991-92 წლების შეიარაღებული გადატრიალების დროს!..

... ღმერთო დაგვიფარე! ამას რას მოვესწარით - ერთი ურცხვი ყაჩაღი მოგვიწოდებს, მეორე ურცხვი ყაჩაღის დასამხობად და უტიფრად მოგვიწოდებს - გვერდში დამიდექით თქვენ, სამშობლო-წართმეულნი!..

ახლა კი ჩვენ მოგვისმინეთ: როდესაც ერთი დროშის ქვეშ დადგება ქართველობა, მაშინ მოვა სამშობლო-სათვის ტანჯული მერაბ კოსტავას სული ჩვენთან, გადმოდგება მისი აჩრდილი მთაწმინდაზე და ისე, როგორც 1989 წლის 9 აპრილს კიდევ ერთხელ გვეტყვის:

"გამაგრდით და გაძლიერდით, რადგან ჩვენთან არს ღმერთი, ამინ!"

ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს სახელით

ვახტანგ მარტყოფლიშვილი

# ლევ იაშინი

დიდი ფეხბურთელი ეუხებო ამბობდა ლევ იაშინზე, რომ იგი მსოფლიოში მეოცე ასწლეულის ერთადერთი საუკეთესო და უდიდესი მეკარეაო. ამ დრამატული ბედის მქონე ფეხბურთელის მიმართ მოწინააღმდეგეთა ღრმა პატივისცემასა და მოწიწებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მის გამოსამშვიდებელ მატჩზე, რომელიც მოსკოვში "ლუჟნიკების" სტადიონზე გაიმართა, მსოფლიო ფეხბურთის უამრავი ვარსკვლავი ჩავიდა. ვარსკვლავების გუნდი საფეხბურთო მინდორზე ფეხბურთის ინგლისელი "გრანდის" ბობი ჩარლტონის კაპიტნობით გავიდა.

საფეხბურთო კარიერის დასაწყისში იაშინმა კინაღამ დაანება თავი ფეხბურთის თამაშს, რადგან მუდამ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. 1953 წელს მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ფეხბურთი ჰოკეიში გაეცვალა, რადგან შესანიშნავად ფლობდა ზამთრის ამ თამაშის მეკარის ტექნიკას. მაგრამ მაშინ ლევ იაშინის სათადარიგო სკამზე ყოფნას ჰქონდა თავისი გამართლება, რადგან იმ პერიოდში მოსკოვის "დინამოს" კარს მაშინ იცავდა "ვეფხვად" წოდებული სახელგანთქმული მეკარე ალექსეი ხომინი. მაშინ ლევ იაშინი ოცდასამი წლის იყო და მოსკოვის "დინამოს" ჰოკეის გუნდის მწვრთნელები ეხვეწებოდნენ, რომ ფეხბურთისათვის თავი გაენებე-

ბინა და ჰოკეიში ეცადა საკუთარი ბედი.

კიდევ კარგი, არ დათანხმდა, თორემ მსოფლიო ფეხბურთი უდავოდ დაკარგავდა მართლაც ყველა დროის საუკეთესო მეკარეს.

მაგრამ სიტუაცია მყისიერად შეიცვალა - ერთ-ერთ მატჩზე ხომინმა მძიმე ტრავმა მიიღო და მოსკოვის "დინამოს" მწვრთნელმა მიხეილ იაკუშინმა ლევ იაშინი ძირითად შემადგენლობაში ათამაშა. ეს იყო ჭეშმარიტად იღბლიანი დებიუტი დიდ ფეხბურთში, რადგან ლევ იაშინმა პირველივე მატჩში მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა. სწორედ ამის შედეგი გახლდათ ის, რომ ერთი წლის შემდეგ ლევ იაშინი უკვე საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ღირსებას იცავდა. დაგვეთანხმებით, დიდ ფეხბურთში ამგვარი წინსვლა ძალზე იშვიათი მოვლენაა.

საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ლევ იაშინის დებიუტი შედგა შედეგებთან გამართულ მატჩში, რომელშიც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა მოწინააღმდეგე. 1956 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებმა მედლების (ავსტრალია) ოლიპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა, რაშიც უდავოდ დიდი გახლდათ ლევ იაშინის წვლილი. 1960 წელს, საბჭოთა კავშირის ფეხბურ-

თელთა ნაკრებმა, რომლის ძირითად შემადგენლობაში ლევ იაშინთან ერთად თამაშობდნენ ქართველი ფეხბურთელები მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და გივი ჩოხელი, ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, სადაც ფინალში მათ დაამარცხეს იუგოსლაველები. სსრკ ნაკრებში ყოფნის შვიდი წლის მანძილზე იაშინმა ტრავმის გამო არ თამაშა მხოლოდ ორ საერთაშორისო მატჩში, საერთო ჯამში კი ნაკრებში 79 მატჩი ჩაატარა, რაც იმ პერიოდისათვის აშკარად სარეკორდო მანქანებელი გახლდათ. რაც შეეხება უმაღლესი დივიზიონის მუდმივ ბინადარს მოსკოვის "დინამოს", ამ გუნდში იაშინმა 326 მატჩი ჩაატარა. ამ ხნის განმავლობაში გუნდი ხუთჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და სამჯერ მოიგო ქვეყნის თასი. 1990 წელს, როცა საშინელ სიღარიბეში მყოფი დაინვალიდებული იაშინი (სისხლძარღვთა დაავადების გამო მას ცალი ფეხი ჰქონდა ამპუტირებული) გარდაიცვალა, საბჭოთა საინფორმაციო სააგენტოებმა იგი საბჭოთა კავშირის ყველაზე გამოჩენილ და დამსახურებულ სპორტსმენად აღიარეს.

მას ჰქონდა ძლიერად დარტყმული ბურთის ადების განუმეორებელი ადლო, რის გამოც ჯერ კიდევ 1963 წელს ფრანგულმა ჟურნალმა "ფრანს ფუტბოლმა" დაასახელა ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. ასევე, ამერიკულ ჟურნალ "ელ გრაფიკოს" გამო-

კითხვით, იაშინი ყველა დროის მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ დასახელდა. იაშინმა საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს სამ ჩემპიონატში (1958, 1962, 1966) მიიღო მონაწილეობა, ხოლო 1970 წლის ჩემპიონატზე მეხიკოში სათადარიგოთა სკამზე იმყოფებოდა.

თავისი სპორტული კარიერის განხილვაში იაშინს აღებული აქვს 150 პენალტი, რაც დღემდე მიუღწეველია. ერთ-ერთი პენალტი, რომელიც მან გაუშვა, იყო 1966 წელს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ეუსებოს მიერ დარტყმული საჯარიმო, რამაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს ბრინჯაოს მედლები დააკარგინა. მაშინ სსრკ-მ მეთხუთს ადგილი დაიკავა, რაც საუკეთესო მანქანებელი იყო ამ რანგის ტურნირებში საბჭოთა კავშირის ნაკრებისათვის. იგივე ეუსებო მასზე წერდა: "იაშინი არის შეუდარებელი და მეოცე საუკუნის საუკეთესო მეკარე".

იაშინმა სპორტული კარიერა

1970 წელს დაასრულა. მის გამოსამშვიდებელ მატჩში მონაწილეობა მიიღეს საფეხბურთო ვარსკვლავებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ იგი გახდა საერთაშორისო საფეხბურთო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა ხელისუფლებამ კი ლენინის ორდენით დააჯილდოვა ფეხბურთში შეტანილი წვლილისათვის.

**მოკლე ბიოგრაფია**

დაიბადა 1929 წლის 22 ოქტომბერს მოსკოვში. 1946 წელს თამაშობდა ჰოკეის. 1950 წელს დებიუტი ჰქონდა მოსკოვის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდში. 1956 წელს გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. მონაწილეობდა სამ მსოფლიო ჩემპიონატში. 1960 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი. 1963 წელს დაასახლეს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად. 1968 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით გარდაიცვალა 1990 წელს.

**გიორგი ჯალაღანია**



## ილორი

გიოები გეგმავენ საგიოეთიდან გაქცევას. მთავარი გიოი გეგმას აცრობს დანარჩენებს:

- მოკლედ, საგიოეთის კედელი რომაა, იმას გადავახტებით ამაღამ და თავისუფლები ვიქნებით. გიოებმა ერთმანეთს გადახედეს და დაიბინეს...
- დილით მორბის ეს მთავარი გიოი და ყვირის:
- ჩაგვეშალა, ძმეო, გაქცევა! ვეღარაფერს მოვახერხებთ!
- რატომ? - ჰკითხეს გიოებმა.
- რატომ და, დიდი კედელი წუხელ ქარს დაუნგრევია...
- \* \* \*
- კახელ მიტუას ცოლი მოუკვდა, ერთი კვირის დამარხული ჰყავს. ბირუაზე ერთი სმის მოყვარული მეზობელი ეუბნება:
- მიტო, წამო, "პოლიტიკის" ფული გექნება, ავიღოთ, დაფლიოთ, გულის დარღებს გადააყოლებო.
- ჯო, ე "პოლიტიკის" ფული კი მაქვს, გულის დარღებისა კი რა გითხრაო...
- \* \* \*
- საოპერაციოში:
- ექიმო, მგონი ის დაგვარგეთ!
- ვაი, ახლა რა მოხდება?
- არაფერია, არაფერი... ახლა ელექტროკოსები მოვლენ, შუქს გააკეთებენ და ვიოვით, შორს ვერ წავიდოდნენ... სად წავიდოდა სიბრტყელში... ნარკოზით... თან, აგერ, თირკმელიც დარჩენია...

## სიღმრეების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

**ვაგრძელებთ ნაწევრების ბეჭდვას "ეგრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიღმრეების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.**

- ვეშაპის ნახვა - ნიშნია დიდისა და სახელგადასახელები ხელმწიფისა;
- ვაზის ხის ნახვა - ცუდ რაიმეს ანუ ავადმყოფობას ნიშნავს;
- ვენახში შესვლა და ყურძნის კრეფა - ადარს ნიშნავს;
- ვაზის ჩარგვა - ძალიან კარგია და ბედნიერებას მიადევს;
- ვარსკვლავი ჩამოვარდნილი ნახო - დიდი ვინმე დოვლათი დაგეცეს;

- ვარსკვლავი დაბნელებული ნახო - მწუხარების და ხევის ნიშნია;
- ვერცხლის ნივთები, ანუ სხვა რაიმე ვერცხლისა - სასარგებლოა;
- ვალის ადება - დარდისა და ფიქრის შემატებას ნიშნავს;
- ვალის გადახდა - ჭირისა და ვარამის მოშორებას ნიშნავს;
- ვაჭრობა - კარგია, უკვეყლად კარგ რაიმეს შეიძენ;
- ვირი ნახო დატვირთული - კარგია, კაცი მონაგებით მეტად გაიხარებს;
- ვირების ნახვა, ანუ ხმის სმენა - მწუხარების ნიშნია.

## ჩიხი უნდა ეუიწოდან ვიხილ სააკაშილს?

საკაშილის ცხოვრებაში საშინელი ეჭვების დრო დგება. შესაძლოა ახლა ზეწარში გახვეული მარტოსული ადამიანი ბოლთას სცემს ავლაბრის რეზიდენციის უკაცრიელ დერეფნებში და ტრაგიკული ხმით ზნელოთქემს "შენც, ბრუტუს?", ხოლო ამ უგემოვნო შენობის ბნელ კუთხეებში დაბუდებული ექო, მრავალგზის პასუხობს: "მეც, მეც..." იგი ჩამორბის მარმარილოს საფეხურებზე ეცემა... თუმცა ყველაფერი, შესაძლოა, არც ისე დრამატულად ხდება, იქნებ უბრალოდ ზის თავის ერთადერთ მეგობართან - "რედ ბულის" ქილასთან ერთად - და ტელევიზორის უზარმაზარ ეკრანს მისწერებია, მაგრამ ნებისმიერი სიტყვის, თითოეული კადრის მიღმა ისევ ფარულ მუქარას ხედავს.

ეჭვების საფუძველი ნამდვილად არსებობს. სამი გავლენიანი ფიგურა: ვანო მერაბიშვილი, გიგა ბოკერია და ირაკლი ალასანია აშშ-ში ერთდროულად იმყოფებოდნენ. იქ, სადაც სააკაშილს დღეს არავინ პატივებს. მერაბიშვილს კი, ისევე როგორც ბოკერიას და ალასანიას, სახეებით რეალური ძალაუფლების მქონე ხალხი ხედავდა და ძალიან კონკრეტულ საკითხებზე ესაუბრებოდა. სად აქვს სააკაშილის იმის გარანტია, რომ ამ საუბრების დროს მის წინააღმდეგ მიმართულ სცენარებს არ განიხილავდნენ? თანაც ერთობლივად? ასეთ დროს ძალიან იოლად შეიძლება იგრძნოს თავი მოტყუებულად, მიტოვებულად, იგივე ამერიკელები რომ იტყვიან "ლუზურად". რას იზამ, ასეთია სახლური, რომლის გადახდა დღეს სააკაშილს უწევს.

შტატებში იმყოფებოდა სამი ადამიანი, რომლებიც სერიოზულ რესურსს ფლობენ - მერაბიშვილი შს მინისტრია, ბოკერიას იდეოლოგიური და პროპაგანდისტული მანქანის კოორდინირება შეუძლია, ალასანია კი ვაშინგტონის განსაკუთრებული პოლიტიკური მხარდაჭერით სარგებლობს. თითოეული მათგანი ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ ვაშინგტონის მიერ წამოყენებულ წინადადებებზე უარის თქმა, უბრალოდ, არ შეუძლია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სცენარი რომელიმე მათგანის პოლიტიკური კა-

რიერის დასასრულს ან დროებითი გაყინვის აუცილებლობას შეიცავს. შესაძლოა, ეს მხოლოდ ვარაუდებია, მაგრამ ვინაიდან ყოველივე ზემოთქმული ასე თუ ისე ლოგიკურად უღერდა, ვერაფერს გამოიციხავს, რომ მსგავსი ეჭვები სააკაშილსაც არ გახსნიდა. სცენარი შეიძლება შეიცვალეს ალასანიასთვის რეალური გავლენის ბერკეტების გადაბარებას მისთვის ოპოზიციონერის იმიჯის შენარჩუნების პირობებში, არც ისაა გამორიცხული, რომ ადგილი უფრო სწრაფ პროცესებს, კერძოდ, ხავერდოვანი რევოლუციის მორიგ იმიტაციას ან კიდევ უფრო უხეშ ვარიანტებს ჰქონდეს. ჩამოთვლილ პირებს შორის ღია ალიანსს ადგილი ვერ ექნება, მაგრამ ეს აუცილებელი არცაა - მთავარია შედეგი: ხელისუფლება სახეცვლილი, მაგრამ კვლავინდებურად ვაშინგტონის კონტროლქვეშ მყოფი ჯგუფის ხელში დარჩება, ხოლო დისკრიტიტირებული სააკაშილის პრობლემა მოიხსნება.

თუ სააკაშილი მერაბიშვილს ადარ ენობა, მეტიც, ეჭვების საფუძველზე მის ჩანაცვლებას შეეცდება, შეიძლება, ისეთი პროცესები განვითარდეს, რომელიც რეჟიმს ბოლოს მოუღებს. ფაქტია, რომ საგარეო ფარულ ტრიუმფირატთან შედარებით სააკაშილის შესაძლებლობები ნულს უტოლდება.

ამ დღეებში იგი, სავარაუდოდ, გაიხსენებს ყველა ფაქტს, რომელიც მის ეჭვებსა და შიშებს გაამყარებს. იმას, თუ როგორი მოწადინებით ესწრაფოდა ალასანია კრიზისის დასაწყისში მერაბიშვილთან კონსულტაციების ჩატარებას, იმას, თუ რა ამბიციებს გამოთქვამდა ბოკერია ბოლო დროს არცთუ დახურულ ფორმატებში, იმასაც, თუ როგორ უწინასწარმეტყველებდნენ გარკვეული პირები მის თითქოს და ერთგულ და დამჯერ ვანოს შემცველების როლის შესრულებას - არც ერთ ამ ფაქტს, ცალკე აღებულს, განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ერთობლიობაში ისინი შეიძლება, დალატს და შეთქმულებას დაუკავშიროს ლაშა გიორგიძე

<p>გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს უკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p>რედაქციის მისამართი: <b>თბილისი, მესამე ნადიკვარის №11</b> სარეგ. №01018002930</p>	<p>მთავარი რედაქტორი: <b>როლანდ ჯალაღანია</b> მთ. რედაქტორის მოადგილე: <b>ლავით ქობალაია</b> ტექნიკური რედაქტორი: <b>მიხეილ ჩოლოყიშვილი</b></p>	<p>anaklia@web.de e-mail: <b>elisabetthal@yahoo.de</b> ჩაქალაქის განთავსება <b>899-57-33-22</b> <b>72-37-35</b> <b>38-41-97</b></p>
-----------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------